შაბათი, 24 ნოემბ. 1907 წ.

# ისარი

წელიწადი პირველი № 259

გაზეთი «ისარი» ერთის წლით ღირს ტფილისში 7 მან., ნახევარი წლით—4 მან., ერთის თვით ტფილისში—75 კაპ. ტფილისს გარედ—80 კაპ. გაზეთის გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვებში.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ, სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 5 საათამდე ღირს 3 მან., ხუთი საათის შემდეგ—მეტი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება «ისრის» რედაქციაში და კანტორაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 4 საათამდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია დიდხანს არ ინახავს. ანაზღაურებით თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. წერილობით პასუხისათვის საჭიროა საფოსტო მარკები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, დილის 11 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე.

ადრესის გამოცვლა ტფილისიდან ტფილისს გარედ ღირს 1 მან., ხოლო სხვაგან—40 კაპ.

**ცალკე ნომერი ყველგან 5 კაპ.**

რედაქციისა და კანტორის ადრესი: ტფილისი, ელისაბედის ქუჩა, № 1.

ფოსტის ადრესი: **Тифлисъ, редакція «ИСАРИ»**

ალექსანდრე, ლევან როსტომის ძენი **კობახიძეები**, ეკატერინე და ნინო როსტომის ასულნი **ჯაჯანაშვილებისა**, გაიანე როსტომის ასული **განძიელისა**, ალეთია და ევა მიხეილის ასულნი **კობახიძეები** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას: პირველი ხუთი საყვარელი დედისა, დანარჩენნი—დედამთილისა

## ანასტასია ზურაბის ასული კობახიძისას

დაკრძალვა მოხდება ს. მეჯვრისხევში, 25 ნოემბერს, დილის 10 საათზე. (1—448—1)

კვირას, ნაწირვებს, 25-ს ნოემბერს, ქუთაისის მთავარ-ანგელოზის ეკლესიაში გადახდილ იქნება პანაშვიდი განსვენებულის

## ნესტორ სიმონის ძის მესხის

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ **ანნა სიმონის ასული პეტრიაშვილისა.**

კვირას, 25 ნოემბერს, ნაწირვებს სოფ. რიონს გადახდილ იქნება წირვა და პანაშვიდი განსვენებულის

## ნესტორ სიმონის ძის მესხის

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ **მიხეილ** და **დავით სიმონის ძენი მესხნი.**

**დავით ბესარიონის ძე ხელთუფლიშვილი** დიდით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ, რომ მეორმოცე დღის წირვა და პანაშვიდი გარდაცვალებულის მათის ძვირფასის დედის

## თეოდოსია ფირანის ასულის ხელთუფლიშვილის

სულის მოსახსენებლად გადახდილი იქნება კვირას, 25 ნოემბერს, წმ. გიორგის ეკლესიაში ქ. ქუთაისში. წირვა დაიწყება 9½ საათზე. (2—6—2)

დილით ქართული წარმოდგენა სახაზინო თეატრში. დილით

კვირას, **დილით**, 25 ნოემბერს 1907 წ. ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

✦:✦ ნაშუადღევის 12½ საათზედ ✦:✦

## სამშობლო

ისტ. დრამა 5 მოქმედ. დ. ერისთავის მიერ გადმოკეთებული.

✦✦ მეოთხე მოქმედებაში წარმოდგენილი იქნება „ლიტონია". ✦✦

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი ტასო აბაშიძე, ა. კარგარეთელი, ო. ლეჟავა, ბ. ნებიერიძისა, ე. ჩერქეზიშვილისა, ნ. ჩხეიძე; ბ-ნნი ვ. აბაშიძე, ზ. ბერიშვილი, ვ. გამყრელიძე, გ. გედევანოვი, ვ. გუნია, ა. იმედაშვილი, ი. ივანიძე, ვ. მატარაძე, ი. ქივიძე, კ. ყიფიანი, კ. შათირიშვილი, დ. ჩარკვიანი და სხვ.

ადგილების ფასი დაკლებულია. დასაწყისი სწორედ დილის 12½ საათზე.

მორიგი წევრი გამგეობისა **თავ. გ მაჩაბელი.** რეჟისორი **ვ. გუნია.**

**ტფილისის სახაზინო თეატრი. ოპერის არტისტთა ამხანაგობა.**

შაბათს 25 ნოემბერს, მეორე გასტროლი განთქმულ ევროპიელ მომღერალ ქალისა ოლიმპია ბარონატისა წარმოდგენილი იქნება

## „სევილიელი დალაქი"

ოპერა 3 მოქმედ. მუსიკა როსინისა.

**როზინას პარტიას შეასრულებს ოლიმპია ბარონატი**

მონაწ. იღებენ: ქ-ნნი ოლიმპია ბარონატი, გორინა, ბ-ნნი აკიმოვი, დე-რობერტი, ლეონიდოვი, სიბირიაკოვი, საიანოვი და სხვ.

კაპელმეისტერი: **გოლინკინი.** დასაწყისი 8 საათზე.

**ანონსი**: კვირას, 25 ნოემბერს დილით **ქართული წარმოდგენა**. საღამოთი ცნობილ ტენორის **გოპპოლოს** მონაწილეობით—«გუგენოტები», ახლო ძომავალში სიბირიაკოვის ბენეფისი—„დემონი". მზადდება დასადგმელად «ასე სთქვა მეფემ» და «ანნა კარენინა». (0—7)

## თამბაქოს ქარხანა

სააქ. საზ. „მირისა" ტფილისში.

ურჩევს მუშტარს ახლად გასასყიდად გამოშვებულ პაპიროსებს

## არომატ

საუკეთესო ხარისხის თამბაქოსას

10 ცალი 5 კაპ ✦:✦:✦:✦:✦ 25 ცალი 15 კაპ.

საქარხნო მაღაზია სასახლის ქუჩ. ტელ. № 349. (40—415—5)

ქ. თელავში

ექიმი

**ნ. გ. მრევლოვი**

მასწავლებლად ნამყოფი კიევის ქალაქის საზებიო სასწავლებელში და ინტერნად მშობიარეთა სახლში, მიიღებს ავადმყოფთ ყოველ დღე 9—12 საათამდის. ადრესი: ზ. მაჭავარიანის სახლი (ბატონის წყაროზე). (50—413—10)

კბილის ექიმი

**ნინო რცხილაძე**

იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. საღამოთი, —7 საათზე. ვერა ოლგას ქუჩა, № 25- (0—230)

ქ. ქუთაისში

**ექიმი ი. ი. ჩარექოვი**

იღებს **განსაკუთრებით ვენერიულ, სიფილისიან და კანით ავადმყოფებს**. სწამლობს მუწუკებს, ძირმაგრებს, ბუბონებს და სხ. უოპერაციოდ **პროფ. ზიერის** მეტოდი. 12—2 საათამდის. გეგუთის ქუჩა, აბულაძის შესახვევი, იოსელიანის სახლში. (25—ფ.—18

**კბილის ექიმი**

**ბალარჯაშვილი მათეშვილი**

იღებს ავადმყოფებს დილის 9—3, საღ 5—7 ს. ადრესი: მიხეილის ქუჩა, № 37. (25—420—8)

**ყურის, ცხვირის და ყელის ექიმი**

**ნ. ა. ატენიანცი**

იღებს ყოველდღე ავადმყოფებს- შუადღის 12—2 ს., საღამოთი 5—7 საათამდე, მიხაილოვის ქუჩა № 114 „ვეტცელის" სასტუმროს პირდაპირ. (50—385—24)

კბილის ექიმი

**ი. ზ. კანდელაკი**

დაბრუნდა ტფილისში და განაახლა კბილით ავადმყოფებთა მიღება. სწამლობს კბილებს, აკეთებს პლომბებს და სხამს ახალ ხელოვნურ კბილებს. იღებს ახალ ბინაზე რაზიეზჟი ქუჩაზე, № 11, სახლი ბაბალოვისა, ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. 9—2 ს. და 4—7 ს. (25—407—13)

**ქ. ქუთაისში**

**ექიმი ბადრიძე**

ყვავილის და სხვა გადამდებ სენის აცრა. ავადმყოფებს იღებს დილით 8—12 საათზე და საღამოთი 4—5 ზე. პოლიციის ქ. ციციაშვილის სახლი. (25—კვ.—15)

**ელექტრონის და რენტგენის**

**სამკურნალო კაბინეთი**

## მიხეილ გედევანიშვილისა

იღებს ავადმყოფებს დილის 12—1, საღამოს 6—7 საათ. ყორღანოვის ქ., ვერაზე; საკ. სახლი № 20 ტელ. 791. (0—6.—52)

ექიმი

**ა. ნ. დიასამიძე**

**კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს**

იღებს ყოველდღე შუადღის 12—1 საათამდე. საღამოთი 6—8 საათმდე. ხუთშაბათობით მხოლოთ დილით 8—9-დე. კვირაობით ავადმყოფებს არ მიიღებს. ყორღანოვის ქუჩა № 14.

ექიმი

**გ. ნ. მაგაკიანი**

იღებს ავადმყოფებს **შინაგან და ბავშვებისას**. სპეციალური ექიმია **კუჭის და ნაწლევებისა**. მიღება: დილით 12—1 ს., საღამოთი 5—7 ს. მიხეილის პროს. № 36, სახ. ქავქანიძისა(25—წლ.

ექიმი

**მ. მაშაკიძე**

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილის 1—2 ს., საღამოობით 5—6 საათ., გარდა კვირა დღეებისა, კიროჩნის და ელისაბედის ქუჩების კუთხეზე, ბარამოვის სახლი, № 92. (წ.უ—00)

ექიმი

**ი. ი. გოკიელი**

სპეციალისტი: **ვენერიული სიფილისის, კანის და ნერვების სნეულების** აკადემიკოსისა. მიიღებს ავადმყოფებს დილის 9—12 ს. და საღამოს 5½—7½ ს. მიხაილოვის ქუჩა. № 113 ვეტცელის სასტუმროს გვერდით.(25—406—13)

ექიმი

**ივ. გომართელი**

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 საათამდე, საღამოთი 5—7 საათამდე. გოლოვინის პროსპ. № 33. (25—392—24)

თვალის ექიმი

**ზ. მ. ცხვედაძე**

დორპატის უნივერსიტეტის კლინიკაში ასისტენტად ნამყოფი, იღებს თვალით ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—1 ს. და საღამოს 6—7 ს. ვერა ოლღას ქუჩა, № 31, სახლი სარაჯიშვილისა. (25—345—17)

**ქუთაისში**

კბილის ექიმი ქალი

**ე. დ. ნასარიძე**

იღებს ავათმყოფებს ექიმ ნასარიძის ბინაზე. (346)

ექიმი

**მ. ბ. ბეზირგანოვი**

მიიღებს ავადმყოფებსა 5—7 ს. საღამოს. სემენავის ქ. № 7. (1—744—1)

**მედიცინის დოქტორი**

**მ. ი. მურადოვი,**

ყოფილი ორდინატორი მოსკოვის უნივერსიტეტის კლინიკისა, იღებს შარდით, ვენერიულ (სიფილ.) და კანის ავადმყოფებს დილით 9—11 ს. საღამოთი 5—7 საათზე. რტიშჩევის ქ. № 1, ცეცხლის მქრობელ რაზმის პირდაპირ. ტელეფონი № 711. (21—ხ—6)

კბილის ექიმი

**ალ. სოლოლაშვილი**

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე 9—2 საათამდე და 5—7-მდე. გოლოვინის პროსპ. № 12. სახლი მდივნისა. (64)

ექიმი

**ვ. ს. მუსხელიშვილი**

იღებს თვალებით ავად-მყოფებს ყოველ დღე დილის 9—11½. კიროჩნი ქუჩა № 9. (თვ.)

**ქ. ქუთაისში**

**ექიმი ჯაფარიძე**

იღებს ყურით, ყელით, ცხვირით და შინაგანის სნეულებით ავადმყოფებს. ტფილისის ქუჩა, სახლი თ ნიჟარაძისა. (50—6.—17)

საყმაწვილო წიგნი

## „გრიმის ზღაპრები"

(გამოცემა „ნაკადულის"-სა)

**იყიდება „ნაკადულის" რედაქციასა და წერა-კითხვის საზოგადოებაში.** (5—2)

**გამოვიდა და იყიდება ყველგან**

## „ნიშადური"

უკანასკნელი

## № 14-რი

ნახატები, კარიკატურები, წერილები, ლექსები და ოხუნჯობა. ფასი ყველგან 10 კ. (3—2) რედაქტ.-გამომც ვ. გუნია.

## გორში

ხელ-ახლა გაიხსნა დაკეტილი

## წიგნის მაღაზია

არჩვაძისა

მაღაზია ძველ ადგილას არის და ძველებურადვე ვაჭრობს. (4—6.—2)

ტფილისი, 24 ნოემბერი.

ჯერ ისევ ამ ორი წლის წინად ახალი რამ „საზოგადოების" ან კავშირის დაარსება თითქმის ყოვლად შეუძლებელი იყო. ასეთს განზრახვას პოლიტიკურ პირობების გამო გზად მრავალი უძლეველი დაბრკოლება ჰხვდებოდა, განსაკუთრებით კი თუ განსაკუთრებული „საზოგადოება" ან კავშირი ხალხის ფართო წრეების კულტურულ საჭიროებათა კმასაყოფილად იყო საჭირო და მაშასადამე ხალხის და ინტელიგენციის დაახლოვების იარაღად გამოიყენებოდა. იმ დროს ქართველი საზოგადო მოღვაწეები იმდენად დაშინებულნი იყვნენ, რომ არა თუ ახალ „საზოგადოებათა" დაარსებაზე არა ფიქრობდნენ, არამედ იმასაც კი ვერ ჰბედავდნენ, რომ უკვე არსებულ „საზოგადოებათა" წესდებაში რაიმე ცვლილების შესატანად აღეძრათ შუამდგომლობა მთავრობის წინაშე. „ვაი თუ, რაკი გაახსენდებათ ჩვენი „საზოგადოების" არსებობა, იგი სულ ერთიან მოგვისპონო"—ფიქრობდნენ და არც გასამტყუნარნი იყვნენ მაგრე რიგად. ამ მოსაზრებათა საფუძველზე თანდათან გაიზარდა და მომწიფდა აზრი, რომ უკვე არსებულ ქართულ კულტურულ დაწესებულებებს ჩაჰბარებოდა ყოველი ახალი საქმეც და ამ გვარად განხორციელებულიყო ცენტრალიზაცია საქართველოს ყველა კულტურულ საქმეებისა. სხვა და სხვა დაწესებულებათა შორის ამ მხრივ განსაკუთრებითი ადგილი დაიჭირა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ", რომლის მოქმედების მიზნებიც წესდებაში მეტად ფართოდ არის შემოხაზული და ამიტომ თითქმის ყოველგვარ კულტურულ საქმეების გამგებლობა შეუძლიან იკისროს. წლითი წლობით იყრიდნენ თავს „წერა-კითხვის საზოგადოების" ხელში სხვა და სხვა კულტურული დაწყებულებანი და ეხლა უკვე იმდენად გართულებულია მისი მოქმედების შინაარსი, რომ „საზოგადოების" ანგარიშებიდან ძლივს კი სჩანს, რა იყო და რა არის დღევანდლამდე პირდაპირი საგანი იმის არსებობის და მოქმედებისა.

1906 წლის „ანგარიშს" ჩართული აქვს სხვათა შორის „საგანგებო თანხათა" ნუსხა. საკმარისია, ოდნავ გადაავლოთ თვალი ამ ნუსხას, რომ ნათლად დაინახოთ, რა ჭრელ სურათს უნდა წარმოადგენდეს „საზოგადოების" მოქმედება. საგანგებო თანხად ითვლება 10.578 მან. 50 კაპ. მუზეუმის ასაშენებლად, 2574 მან. 98 კაპ.—სალიტერატურო თანხისა, 1690 მან. 94 კაპ.—რ. ერისთავისა, 28 მანეთი 61 კაპ.—მუსიკისა და გალობისა, 2872 მანეთი, 72 კაპეიკი—დ. ნაკაშიძისა, 37 მან. 23 კაპ.—აკაკისა, 3657 მან. 6 კაპ.—საპრემიო და სხვა. ყველა ეს თანხები გამგებლობას თხოულობენ, მაგრამ არც ერთს ამ თანხას პირდაპირი და უშუამავლო კავშირი არა აქვს ქართველთა შორის წერა-კითხვის გავრცელების საქმესთან, რაც ჩვენი „საზოგადოების" მიზანს შეადგენს. თითოეული თანხა, საკუთრივ თანხის გამგებლობის გარდა იგულისხმებს აგრეთვე მრავალს სხვა საქმესაც. მუზეუმის თანხასთან მაგ. მჭიდროთ დაკავშირებულია „წერა-კითხვის საზოგადოების" ხელში მოგროვილი ისტორიული, არქეოლოგიური და ეტნოგრაფიული ნაშთები და სიძველენი, სპეციალური ისტორიული ბიბლიოთეკა და სხვა. ყველა ამ სიძველეთა მოვლა და პატრონობა, რა თქმა უნდა, ფრიად დიდი საქმეა, ამას მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოს კულტურულ წარმატებისათვის, მაგრამ მაინც კი ეს სხვა სახის კულტურული მუშაობაა, ვიდრე ხალხში წერა-კითხვის გავრცელება. ესევე ითქმის სალიტერატურო, საპრემიო, სამუსიკო და სხვა სპეციალურ თანხებზე.

გადამეტებული გართულება და აჭრელება „წერა-კითხვის საზოგადოების" ქვემდებარე საქმეებისა არა სასურველ გავლენას ახდენს საერთოდ იმის მოღვაწეობის ნაყოფიერებაზე. რაკი ასე მრავალფეროვანი შეიქმნა „საზოგადოების" გამგეობის მიერ საწარმოებელი საქმეები, ამიტომ გამგეობის წევრებად აუცილებლად ირჩევენ მრავალ სხვა და სხვა საქმეში ასე თუ ისე გამოცდილ და ცნობილ პირებს. ეხლანდელ პირობებში ეს აუცილებელიც არის. განა შეიძლება რამდენიმე ისტორიკოსი და არქეოლოგი არ ერიოს იმ კოლლეგიას, რომელმაც დიდძალ ისტორიულ სიმდიდრეს უნდა ადევნოს თვალი და დაეპატრონოს? გამგეობის ჭრელი შედგენილობა ერთის მხრივ და საწარმოებელ საქმეთა ხასიათის სხვადასხვაობა—მეორეს მხრივ აუცილებლად იწვევს ჩვენ კულტურულ წინმსვლელობას მოღვაწეთა ძალის და ენერგიის ნაყოფიერების შესუსტებას. ამ აზრის საუკეთესო დამამტკიცებელ გარემოებად მიგვაჩნია ჩვენ ის ნაკლებობა, რომელიც ახასიათებს ეხლა „წერა-კითხვის საზოგადოების" მოქმედებას ყოველს მის ქვემდებარე საქმეთა სფეროში. ნაკლებობა ეტყობა სკოლების და ბიბლიოთეკების წარმოებას, მუზეუმის პატრონობას, საპრემიო თანხის გამგებლობას, სალიტერატურო ფონდის მოხმარებას, წიგნების გამომცემლობას და სხვა დარგის საქმეებს.

როგორც ზემოდ ვთქვით, წინად მრავალ სხვა და სხვა ხასიათის კულტურულ მიზანთა შეერთება და მათი დაქვემდებარება ერთ კულტურულ დაწესებულებისთვის პოლიტიკურ პირობებით იყო გამოწვეული. ეხლა ეს პირობები უკვე შეცვლილია. ეხლა შედარებით თავისუფლად შეიძლება თითოეულ კულტურულ მიზნის ასასრულებლად განსაკუთრებითი საზოგადოება დაწესდეს. პოლიციური და ადმინისტრატიული დაბრკოლებანი აქ ეხლა უძლეველნი აღარ არიან. ჩვენ უკვე ვხედავთ, რომ მართლაც არსდებიან ამ ბოლო დროს ასეთი კულტურული დაწესებულებანი სპეციალურის მიზნებით. ამ სპეციალურ დაწესებულებათა გამრავლებით უნდა განხორციელდეს, ჩვენის შეხედულებით, საქართველოში კულტურულ მოღვაწეობის დიფერენციაცია. დიფერენციაციის პროცესს ძველმა კულტურულმა დაწესებულებებმა არა თუ ხელი არ უნდა შეუშალონ, პირიქით, ყველა ღონისძიებით ხელი უნდა შეუწყონ; თითონ ხელი უნდა აიღონ ისეთ საქმეებზე, რაც მათს პირდაპირს დანიშნულებას არ შეადგენს, დაუთმონ ეს საქმეები ახალს საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, ხოლო მთელი თავისი სამო-

ღვაწლო ენერგია კი თავის პირდაპირ დანიშნულებას და მიზანს მოახმარონ. ამ გზით, ჩვენის აზრით, გაუქმებულ იქმნება ერთი მნიშვნელოვანი მიზეზი ქართულ კულტურულ დაწესებულებათა ეხლანდელი დაქვეითების და უნაყოფობისა.

რატომ უნდა იყოს, მაგალითად, ისტორიული სიძველენი, არქეოლოგიური ნაშთები, სპეციალური ისტორიული ბიბლიოთეკა და მუზეუმის თანხა „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ ხელში, როდესაც უკვე საკმაოდ ენერგიულად დაიწყო თავისი მოღვაწეობა ახლად დაარსებულმა „ისტორიულმა და ეტნოგრაფიულმა საზოგადოებამ“. „წერა-კითხვის საზოგადოებას“ აქამდე ძველ ხელთნაწერების სიაც კი ვერ შეუდგენია, რადგან ეს საქმე დიდს შრომას და სპეციალურ ცოდნას მოითხოვს, ხოლო მის „გამგეობის“ წევრებს კი საერთოდ არც საკმაოდ სცალიანთ ამისთვის და არც საკმაო ცოდნა აქვთ. „ისტორიულ და ეტნოგრაფიულ“ საზოგადოებას კი ეს საქმე არც გაუჭირდება და არც რაიმე სხვა უკეთესი საქმის ასრულება შეუძლიან. ამ საზოგადოებაში თავს იყრიან ქართულ ისტორიულ სიძველეთა მცოდნენი და მოყვარულნი, ამ სიძველეთა მოვლა და პატრონობაც მათზე უფრო უპრიანია, ვიდრე „წერა-კითხვის საზოგადოებაზე“. თუ ეს მეტად მძიმე და რთული საქმე მოეხსნა ზურგიდან „წერა-კითხვის საზოგადოებას“, იგი უფრო მეტს ენერგიას, მეტს ნაყოფიერებას გამოიჩენს თავის პირდაპირ დანიშნულების სამსახურში, სკოლებსაც უკეთ მოუვლის, ბიბლიოთეკებსაც და სკოლის გარეშე სწავლებასაც უფრო მეტს ყურადღებას მიაქცევს. კულტურული წინმსვლელობა მოიგებს, ხოლო წაგებით კი არავინ რას წააგებს. თან და თან განთავისუფლება „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა“ ისეთ ტვირთების ზიდვისაგან, რომელნიც პირდაპირ ქართვ. ხალხში წერა-კითხვის გავრცელების საქმეს არ ემსახურებიან, ჩვენის შეხედულებით, ერთი-ერთი აუცილებელი პირობაა ამ კულტურულ დაწესებულების მოღვაწეობის ასაყვავებლად და გასაფართოვებლად.

## პოლონელების დევნა პრუსსიაში

Memento mori! ჩვეულებრივ რომ ვსთქვათ: გახსოვდეს სიკვდილი და თრთოდე! ამას ეუბნება ისტორია ყველა პატარა ერს, რომელთაც ზოგთა უკუღმართ ვითარების გამო თავისუფალი პოლიტიკური არსებობა მოესპო და რომლებმაც თავისი სვე-ბედი ეგრედ წოდებულ დიდ ხალხებს ჩააბარეს. ჩვენი დროის ისტორია საშინელი მარტიროლოგია პატარა ერთა სულის კვეთებისა, ტანჯვა-ვაებისა. ბურჟუაზიულმა იდეოლოგიამ, თავის გამარჯვების პირველ ხანაში, დიდებულად აღიარა ერთა თავისუფლება, ყველა ერთა თანასწორობა და საერთაშორისო ძმობა; მაგრამ ბურჟუაზიულმა სინამდვილემ ძირს დასცა ეს დიდი მცნება და ამა ქვეყნად გაამეფა ჯერ უნახავი დევნა და დაჩაგვრა მცირე და სუსტ ერებისა. რაც დრო მიდის, ეს დევნა მით უფრო და უფრო მწვავე ფორმებს იღებს და დედამიწის ზურგიდან გაქრობას უქადის „ისტორიულად დაბეჩავებულ ერებს“...

შეხედეთ, მაგალითად, რა ხდება განათლებულს გერმანიაში, რომელსაც ისტორიამ არგუნა ძველის პოლონეთის მესამე ნაწილის ჩაყლაპვა. მას შემდეგ, რაც პრუსსიამ თავისი გეგემონია განამტკიცა გერმანიაში, ხოლო უკანასკნელმა ძლევამოსილი საერთაშორისო მდგომარეობა დაიმკვიდრა ევროპაში, გერმანულ პოლონეთს მოსვენება აღარ უნახავს. პრუსსიამ ხელი მიჰყო პოლონელთა გაგერმანელებას; მაგრამ, რადგან კულტურულ და განვითარებულ ერთან ჰქონდა საქმე და „ბუნებრივის პროცესსით“ ამ ერის გადაგვარებას ვერ მოახერხებდა, ძალას, ძალდატანებას მიჰმართა და აუტანელ ცხოვრების პირობებში ჩააყენა ერთი მუჭა ხალხი. ჩვენ არ შევუდგებით აქ ამ დევნისა და ჩაგვრის ისტორიის გადმოცემას და არც იმ წინააღმდეგობის აღწერას, რომელიც პოლონელებმა დაუხვედრეს გერმანიზაციის პოლიტიკას. ჩვენთვის საგულისხმიეროა ახალი ხანა, რომელშიაც ჩადგა რასსთა ბრძოლა პრუსიაში და რომელიც დიდ ისტორიულ გაკვეთილს გვაძლევს ყველა პატარა ერს, პოლონელების მდგომარეობაში მყოფს.

ენის, ლიტერატურის და სარწმუნოების დევნით რომ ვერა გააწყო-რა, პრუსსიამ მიჰმართა ულმობელ საშუალებას. იგი მიჰხვდა, რომ პოლონელების ურჩობის, წინააღმდეგობის ძალას ასაზრდოვებს ტერრიტორია. თავის საკუთარ მიწა-წყალზე მჭიდროდ დასახლებული და შეკავშირებული პოლონელი ერი ეკონომიურად და კულტურულად მაგარს ერთეულს წარმოადგენს, რომელსაც ღონისძიება ექნება გერმანიზაციას ებრძოლოს, სანამ ტერრიტორიული საძირკველი ექნება. გამოაცალეთ ეს ნიადაგი, დაუნგრიეთ ეს საძირკველი და მაშინ კედლების დანგრევაც ერთი ორად გაადვილდება: ეკონომიურად დასუსტებული ერი,—ერი, რომელიც კეთილდღეობას იცავს თავის ტერრიტორიის საშუალებით, დაუძლურდება და გადაგვარების გზას დაადგება. პრუსსის პოლიტიკაც პოლონელთა წინააღმდეგ ბრძოლაში ამ გზას დაადგა, ე. ი., დაიწყო პოლონეთის ტერრიტორიის დაპყრობა. პირველ ხანებში ეს „დაპყრობა“ ბევრად თუ ცოტად ბუნებრივს პირობებში სწარმოებდა. მთავრობა ძალად არ ართმევდა პოლონელ ხალხს მამულებს, არამედ ჰყიდულობდა „თავისუფალ“ მიწებს და ზედ გერმანულ კოლონიზატორებს ასახლებდა. საქმის გასაადვილებლად დაარსებულ იქმნა „საკოლონიზაციო კომისია“, რომლის დანიშნულება იყო პოლონელთაგან მამულების ყიდვა, ამ მამულების ნაჭრებად დაყოფა და ზედ გერმანელ გლეხების დასახლება. მართალია, ესეთი წესი ბუნებრივად და ნორმალურად ვერ ჩაითვლება, რადგან თავისუფალ ბრძოლის, ბურჟუაზიულ laissez fairre პრინციპი დარღვეულია იმით, რომ ერთ-ერთ მებრძოლ მხარეს სახელმწიფო შველის მთელის თავის ძლევა-მოსილებით, მაგრამ ის მაინც არის, რომ მეორე მხარესაც არა აქვს მოსპობილი ბრძოლისა და წინააღმდეგობის გზა. პოლონელებმაც ფხიზლად და ენერგიულად ისარგებლეს ამ საშუალებით და ენერგიული ბრძოლა დაუწყეს საკოლონიზაციო პოლიტიკას. დააარსეს განსაკუთრებული საზოგადოება-ბანკები, რომელთაც კონკურენცია გაუწიეს მთავრობის საკოლონიზაციო კომისიას, დაიწყეს გერმანელთაგანაც და პოლონელ მემამულეთაგანაც მიწების შესყიდვა და პოლონელ მიწათ-მომქმედთა ზედ დასახლება. ამ კონკურენციამ ერთობ ასწია მიწების ფასი და გერმანიიდან გლეხების დენა შეჩერდა, რადგან ახალშენმა ველარ იკისრა ერთობ ძვირად ღირებულის მიწების შეძენა. მიუხედავად იმისა, რომ პრუსიის მთავრობა დიდ ხარჯს ეწეოდა და ენერგიულად შველოდა თავისიანებს, პოლონელთა „მიწის სინდიკატებმა“ მხნე მოღვაწეობით გაიმარჯვეს და დიდათ შეაფერხეს „პოლონეთის ნაწილ-ნაწილ დაპყრობის საქმე“... საფიქრებელი იყო, რომ პრუსიის მთავრობა ამაზე შეჩერდებოდა, რომ ბურჟუაზიულ კანონიერებას მაინც ფეხს არ გადააბიჯებდა. მაგრამ ამაოდ: ესეც მოხდა. ბურჟუაზიამ ფეხით გასთელა „კერძო საკუთრების ხელშეუხებლობის წმინდა პრინციპი“ და რაკი „ნებით“ ვერ ჩაიგდო ხელში პოლონელთა ტერრიტორია, პირდაპირ ძალადობასაც აღარ მოერიდა და ნამდვილ გაძარცვის პოლიტიკას იწყებს.

ახლად დაწყებულ სესსიას პრუსიის ლანდტაგისას წარედგინა კანონ-პროექტი, რომელსაც სხვა სახელი არ ეწოდება, თუ არ ავაზაკობისა და გაძარცვის პოლიტიკის დაკანონება. პრუსიის მთავრობამ შეიმუშავა პროექტი, რომლით მას ნება ეძლევა პოლონეთში მამულების **იძულებით გამოსყიდვას** მიჰმართოს, რაცა ამას საჭიროდ დაინახავს. არსებულს საკოლონიზაციო კომისიას ნება ეძლევა შეისყიდოს პოლონელის მამული გადაჭრილ ფასებში, თუნდაც მემამულეს არ ჰსურდეს მიწის გაყიდვა და თანახმა არ იყოს „გადაჭრილ“ ფასისა! პრუსსიის ლანდტაგში, სადაც უმრავლესობა მსხვილ მემამულეთ ეკუთვნის (გერმანულად—„იუნკერი“, რუსულად—„ზუბრი“) აღტაცებით მიეგებნენ ამ პროექტს. ვისღა გაახსენდა „კერძო საკუთრების სიწმინდე“, კერძო საკუთრების „ხელუხლებლობის აუცილებლობა“?! განათლებულ ზულუსებსაც ბოროტმოქმედებათ მიაჩნიათ მხოლოდ თავიანთ „ცოლების მოტაცება“, სხვა ერის გაძარცვა-კი, სხვა ერის კერძო საკუთრების მოპარვა კი „სახელმწიფოებრივ უზენაესის ინტერესის“ დაცვად აქვთ აღიარებული...

ამრიგად, პოლონელების დევნა პრუსსიაში ახალ ფაზისში შედის და დიდ განსაცდელს უქადის მრავალ ტანჯულ ერს; ხოლო რადგან „განათლებულ პრუსსის მაგალითისათვის“ ყოველთვის წაუბაძავს რუსეთის ბიუროკრატიას, როცა ეს მაგალითი ხელსაყრელი ყოფილა რუსის მმართველ კლასსებისათვის, ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ „ჭეშმარიტ რუსთა“ გული სიამოვნებით ტოკავს იმის მოლოდინში, რომ თავს კერძ პოლონეთშიაც და სხვა განაპირა ქვეყნებშიაც გაამეფებს პრუსსის პოლიტიკას.

## ახალი ამბავი

—:—

✦ **ლექციები** როგორც აღვნიშნეთ, ერთ თვეზე მეტია, რაც სახალხო უნივერსიტეტის სომხურმა სექციამ სისტემატიური ლექციების საქმე მოაწყო და ხალხიც დიდის ინტერესით დაიარება ლექციებზე. ამ გვარადვე მოეწყო ლექციები რუსულ ენაზე. სისტემატიურად ლექციების კითხვა რუსულმა სექციამ დაიწყო გუშინ, 23 ნოემბრიდან, ავჭალის ქუჩაზე ბოტეს სახლში, № 110, სადაც საქალაქო სკოლაა მოთავსებული. ბუნების მეტყველებიდან ლექციებს წაიკითხავს ა. პ. ნიკოლსკი, კოსმოგრაფიაზე—ი. თ. სემენოვი, უფლებაზე—ვ. გ. რუტკოვსკი, ელემენტარულ ტეხნოლოგიაზე—ვ. ნ. კალიშევსკი, ჰიგიენაზე—გ. ი. ვოლსკი და ანატომიასა და ფიზიოლოგიაზე—ევ. გ. თიოდოროვი.

✦ **ჩხრეკა და დაპატიმრება.** ტფილისის პოლიციამ, ნიკოლოზის ქუჩაზე, 22 ნოემბერს, ღამით გაჩხრიკა ძმათა ახმეტელაშვილების [illegible] ვერაფერი ვერ აღმოაჩინა. პოლიციამ წაიღო მხოლოდ [illegible] წიგნები, სულ 100 მან. ღირებულებისა. დააპატიმრეს უმცროსი ძმა მათე ახმეტელაშვილი.

✦ **სიკვდილით დასჯა.** 19 ნოემბერს კავკასიის სამხედრო საოლქო სასამართლომ განიხილა საქმე გლეხის წიაწულაშვილისა, რომელსაც ბრალად ედებოდა მღვდლის მოკვლა ჯოხით. სასამართლომ დამნაშავეს ჩამოხრჩობა გადაუწყვიტა.

✦ **ქართული ოპერა.** ამ ახლო ხანს ქართული ფილარმონიული საზოგადოება დასდგამს ქართულად ოპერა „დემონს“. მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნი პრესინსკისა, ბ. ბ. ცხომელიძე, ა. რჩეულიშვილი, ალასი და სხ. დირიჟორად იქნება ნ. ქართველიშვილი.

✦ **ავაზაკების დაპატიმრება.** სიღნაღიდან გვატყობინებენ, რომ იქ დაუპატიმრებიათ სამი ავაზაკი, რომელთაც მონაწილეობა მიუღიათ ტფილისიდან სიღნაღში მიმავალ ტფ. საოლქო სასამართლოს წევრთა გაძარცვაში.

✦ **ტიმოშკინის სიტყვა სათათბიროში** სომხურ გაზეთ „ვტაკს“ სახელმწიფო სათათბიროს 20 ნოემბრის სხდომიდან დეპუტატი საგათელიანი შემდეგ ამბავს ატყობინებს დეპეშით: „მემარჯვენეებმა მოითხოვეს სახელმწიფო სათათბიროსაგან, რომ მან დახმარება გაუწიოს მთავრობას მოძრაობის ჩანელების საქმეში. ოქტომბრისტებს ამ გვარისავე შინაარსის რეზოლიუცია შეაქვთ იმ დამატებით, რომ სათათბიროს დახმარება მთავრობისადმი აღნიშნულ საქმეში მოხდეს კანონიერის გზით. დეპ. ტიმოშკინმა დემაგოგიური სიტყვა წარმოსთქვა და ბრალი დასდო კავკასიის ადგილობრივ მცხოვრებლებს იმაში, ვითომ იგინი დიდს მტრობას უწევენ და ემტერებიან ამიერ-კავკასიაში ჩამოსახლებულ რუსებსაო. სახელმწიფო დაწესებულებაში მყოფნი მოხელენი მთავრობის საწინააღმდეგო საქმეებში არიან ჩარეულნიო. ამიტომ ტიმოშკინმა მოითხოვა, დათხოვნილ იქმნენ სახელმწიფო სამსახურიდან ყველა „ტუზემცები“ და შემოღებულ იქმნეს კავკასიაში სამხედრო საველე სასამართლოები. სხვათა შორის, ტიმოშკინს უბიდან ამოუღია და უჩვენებია დეპუტატებისათვის განჯის სომეხთა არქიმანდრიტის კორიუნის სურათი, რომელიც გადაღებული ყოფილა „გაიდუკის—ზინგოსის“, თოფიარაღით აღჭურვილ, ტანისამოსში.

# ფელეტონი

### იდეისთვის ტანჯულნი.

კენანისა.

ციმბირი.—კარიის საპყრობილე.—„11 მაისის აწიოკება“.—იქ მყოფ პოლიტიკურ ტუსაღთა ყოფა-ცხოვრება.

თუმცა ისე არსად არის დამცირებული და გათელილი ადამიანის პიროვნება, მისი ღირსება, როგორც ციმბირის საპყრობილეში; თუმცა პოლიტიკურ დამნაშავეთა წამება კალმით აუწერელია, რის მიზეზითაც ჭკუაზედ შეშლა, თავის მოკვლა, გაპარვა და სხვა ამგვარი უბედურება ხშირია,—მაგრამ მაინც უმრავლესობა პოლიტიკურებისა სულით ძლიერია და ხასიათ-მტკიცე. იდეური ბრძოლა შეადგენს მათს მისწრაფებას, მიზანს ცხოვრებისას, იგი ბრძოლა უკანასკნელ წუთამდე აღფრთოვანებს მათ, მათი შეუდრეკელი გმირობა, მედგარი ბრძოლა ამხნევებს სხვა ამხანაგებსაც და მათის მაგალითებით გატაცებულნი, ყველანი მედგრად და შეუპოვრად იბრძვიან.

კარიის საპყრობილე ციმბირში წარმოადგენს ერთს უსაშინელესს ადგილს, რომელსაც ათასობით უმსხვერპლია და შთაუნთქავს მებრძოლი, სპეტაკი და ენერგიით სავსე ახალგაზრდობა. ისინი ყველანი იქ დამარხულან, მაგრამ ბრძოლის იდეა, რომელიც მათ ასულდგმულებდა, იქიდან გადაფრენილა შორს—მეტად შორს და მოსდებია მთელს უზარმაზარ რუსეთს. იგი დიდებული იდეა იქ ვერ ჩაუმარხნია თვით კარიის საპყრობილესაც კი და მისს სასტიკ მფარველებს!..

მკითხველს გავაცნობთ რამდენსამე სურათს კარიის საპყრობილეში მრავალ ჟამს მომხდარ ტრაგედიისას, გავაცნობთ ზოგიერთს მის გმირებს.

ცნობილ კაცთმოყვარე და ჰუმანიურ ადამიანის კანონოვიჩის შემდეგ კარიის საპყრობილის უფროსად ანუჩინი დანიშნეს (კანონოვიჩის უფროსობის დროს ტუსაღთა ცხოვრება თავისუფალი იყო, იმის წასვლის შემდეგ კი მათი მდგომარეობა აუტანელი გახდა). ანუჩინმა უბრძანა ამოექოლათ საპყრობილის ფანჯრები, რათა დამნაშავეთ ცის სივრცე არ დაენახათ, ჰაერი არ ესუნთქათ და ბუნების მზერით არ დამტკბარიყვნენ. ამით მათი ისედაც მოშხამული და აუტანელი ცხოვრება უფრო შეავიწროვა.

სასაცილო იქნებოდა, რომ ახალგაზრდობას, მედგარს და შეუპოვარს, მოთმინებით ეტარებინა ეს მძიმე უღელი, რომელსაც თვით მთავრობაც კი „აუტანელად“ ცნობდა.

1882 წლ. აპრილში, კანონოვიჩის წასვლის წლის თავზედ, როდესაც უსასტიკესი კანონები გამოსცა ანუჩინმა, რამდენმამე გამბედავმა და მამაცმა დამნაშავემ განიძრახა საპყრობილიდან გაპარვა, რისთვისაც დიდის ტანჯვა-წვალებით გასთხარეს საპყრობილის კედლები. თუმცა ეს ვერავინ შენიშნა, მაგრამ, რადგან ქაობიანი ნიადაგი იყო საპყრობილის გარშემო, ეს ნათხარი თანდათან წყლით ივსებოდა და იგინი იძულებულნი იყვნენ მუშაობა შეეყენებინათ. მაშინ ერთმა მათგანმა წინადადება მისცა ამხანაგებს, მთელი დღე დამალულიყვნენ სახელოსნოში, რომელიც ეზოს ერთ მივარდნილს კუთხეში იყო აშენებული, და როცა დაბინდდებოდა კედლებზედ ჩაცოცებულიყვნენ. აქ ყოველდღიური ამოკითხვა (შემოწმება) დამნაშავეთა განძრახვას ჩაფუშავდა. ვახშმის შემდეგ ყოველ დღე მორიგი აფიცერი ამოიკითხავდა ხოლმე მათ და, რასაკვირველია, იგი მაშინვე შეიტყობდა მათ განძრახვას, ადრე ვიდრე იგინი ამას სისრულეში მოიყვანდნენ. მათ უნდა რამე ეშმაკობა ეხმარათ და გაეკეთებინათ ადამიანის მინაგვარი ტიკინი. თუ რომელიმე დამნაშავე ვახშამმდის დაიძინებდა, მას აღარ აღვიძებდნენ ამოკითხვის დროს, შემდეგ მორიგე დასთვლიდა მძინარეებსაც და, რადგან საპყრობილის ოთახში მეტად ბნელოდა ხოლმე, იგი კარგად ვერ არჩევდა მწოლიარეთ და ტიკინები ადამიანებად ეჩვენებოდა, მით უმეტეს, რომ ყველა მათგანს პირი კედლებისკენ ჰქონდათ მიქცეული. თუ ამ ეშმაკობას სისრულეში მოიყვანდნენ, მათი განძრახვა იყო ამურით დიდ ოკეანემდის მისულიყვნენ და რომელიმე გემით შეერთებულ შტატებში წასულიყვნენ. საპყრობილეში დარჩენილ ამხანაგებს ყოველ დღე უნდა ტიკინები კარგად დაეწყოთ. ამოკითხვის დროს ყოველთვის ასე უნდა ემოქმედნათ, რათა კარგა ხანს ვერ გაეგო მთავრობას გაქცეულთა ორინი და ვერ დასწეოდა მათ.

ერთ აპრილის დღეს ორი ტუსაღი, მიშკინი და ხრუშჩოვი, დაიმალა სახელოსნოში. ბინდისას ესენი ჩაძვრნენ კედელზედ და მახლობელს ტყეში მიიმალნენ. იმ ღამეს ტუსაღის ტანისამოსში გამოწყობილი ორი ტიკინი ამშვენებდა ტახტებს. მორიგემ ვერაფერი შეამჩნია. რამდენისამე დღის შემდეგ ორი კიდევ მიემატა მათ. ორი კვირის შემდეგ კი ექვსი ტიკინი იყო გამწკრივებული; მესამე კვირაზედ მუნჯ-უსიტყვო ტუსაღთა რიცხვი უკვე რვა იყო. ეს მეოთხე წყვილი უკვე მზად იყო „სტუმართ მოყვარე“ რუსის მთავრობას გამოსცლოდა ხელიდან, მაგრამ აქ ერთი რამ მოხდა. გადახტომის დროს ერთი მათგანი პირდაპირ წყლის წუმპეში ჩავარდა, წყლის ხმა ღამის-მცველს მოესმა და მსწრაფლ სროლა ასტეხა. მთელი საპყრობილე ფეხზედ დადგა. შეამოწმეს და გამოაშკარავდა რვა ტუსაღის გაპარვა. ამ ამბის წინ რამდენიმე დღით ადრე სატუსაღოთა მთავარ-სამმართველოს უფროსმა გალკინ-ვრასკიმ და იმიერ-ბაიკალის უფროსმა ილიაშევიჩმა მოახდინეს რევიზია კარის საპყრობილისა და უკვე უკან ბრუნდებოდნენ, როდესაც ცნობა მიიღეს ტუსაღების გაქცევის შესახებ. მსწრაფლ კარში დაბრუნდნენ და თვითონვე მიიღეს ზომები მათ დასაჭერად. წყნარ ოკეანეს ყოველ ნავთსადგურსა და ქალაქში დეპეშები აფრინეს და პოლიციის მოხელეებს დაურიგეს გაქცეულთა ფოტოგრაფიული სურათები. ბრძანება გასცა, ყველა საეჭვო და უცნობი შეეპყარით. ადგილობრივი მცხოვრებნი კიდევ წახალისებულნი საჩუქრის დაპირებით ტყე-ტყე გიჟებივით გაფოთებულნი დარბოდნენ.

გაპარულები მეტად მისუსტებულნი იყვნენ დიდის ხნით საპყრობილეში ჯდომით და დიდხანს ვერ შეეძლოთ ასეთ სასტიკს დევნას ასცდენოდნენ; მასთან ხელს უშლიდა ადგილების უცნობლობა (უცოდინარობა გზა-კვალისა), უკომპასობა, რუქის უქონლობა, გზის-მაჩვენებელ წიგნაკების უქონლობა. ორმა მათგანმა, მიშკინმა და ხრუშჩოვმა, უკვე ვლადივოსტოკს მიაღწია, მაგრამ ბოლოს ყველანი დაიჭირეს და შებოჭილნი დააბრუნეს კარიის საპყრობილეში.*)

ამავე დროს საპყრობილის მთავრობა დიდს სამზადისში იყო, რათა გაქცეულთათვის „ჰაკვეთილი“ მიეცათ, და საპყრობილეში წეს-რიგი აღედგინათ. ამ მუქარის სისრულეში მოსაყვანად მთავრობამ განიზრახა ყველა (მოპოვებულ) მინიჭებულ უფლებათა წართმევა: ჩამოართვა ტუსაღებს ფული, წიგნები, წაართვა საცვალი, თეთრეული სრულიად, და ყველანი გაჰფანტა სხვა და სხვა საპყრობილეში, სადაც უფრო მეტი სისასტიკე იყო. იქ ყველანი „კარცერს“ განიცდიდნენ.**)

ილიაშევსკი და გალკინ-ვრასკი ელოდნენ ტუსაღებისაგან წინააღმდეგობის გაწევას. უკეთ რომ ვსთქვათ, თვითონ უფრო აზვიადებდნენ ამ მოლოდინს. ამისათვის ექვსასი ყაზახი გაჰგზავნეს სამხრეთ-ოქროს მადნებისაკენ. ათის დღის განმავლობაში არა-ჩვეულებრივი არაფერი მომხდარა მეთერთმეტე დღეს კი ყაზახებმა უცბად ბრძანება მიიღეს, გარს შემოერტყათ საპყრობილესათ.

ეს არაფრით (უმიზეზოდ) გამოწვეული შეიარაღებული თავს-დასხმა უიარაღო, მძინარე ტუსაღებზედ, კარიის საპყრობილის ისტორიაში ცნობილია „11 მაისის აწიოკებად“. სამას-ოთხასი თოფებით შეიარაღებული ყაზახი შევარდა საპყრობილის ოთხსავე კამერაში, მძინარე ტუსაღებს ტახტებიდან ძირს მიწაზედ ანართხებდა, ურცხვილოდ და დაუნდობლად ჩხრეკავდა მათ, აგლეჯავდა ტანისამოსს, საცვალს, ყველაფერს სტაცებდა და შემდეგ ეზოში მიათრევდა. ზოგიერთი ტუსაღი სცდილობდა თავი ტახტის ფიცრებით დაეფარა, მაგრამ ყაზახებიმათ უწყალოდ და დაუნდობლად სცემ-

*) გაქცეულთა გვარები: მიშკინი, ხრუშჩოვი, ბოლომეცი, ლევჩენკო, იურკოვსკი, კრიჟანოვსკი და მინაკოვი.

**) კარცერში მჯდომთ არა აქვთ უფლება საკუთარ საცვლის ტარებისა,ართმევენ წიგნებს, თუთუნს, საცვალს, არ უშვებენ ეზოში სასეირნოდაც კი, დალაპარაკების ნება არა აქვთ; შავი პური და წყალია მათი მუდმივი საჭმელი.

არქიმანდრიტის სუხაში მინისტრისა და მემარჯვენე დეპუტატებს ჩამოურთმევიათ და დაუწყიათ სინჯვა.

◆ **კრება.** როგორც იციან მკითხველებმა, ორი თვე სრულდება, რაც გაფიცულნი არიან რესტორნებისა, სასადილოებისა და სარდაფების მუშები. 22 ნოემბერს ნიკიტინის ცირკში შეიკრიბნენ მეტრაქტირენი, რესტორნების პატრონები და სხვ. მოსალაპარაკებლად კრებამ სამუშაო დრო მუშებისთვის შეამცირა ერთი საათით და დანიშნა 9 საათი სამუშაო დრო დღეში. დანარჩენ სადაო საკითხების განსახილველად და მუშებთან მოსარიგებლად კრებამ ამოირჩია 9 კაცისაგან შემდგარი განსაკუთრებული კომისია.

◆ **წ. კ. საზოგადოების გამგეობის კრება.** ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობის კანცელარიაში მოთავსებულია მრავალი ხელთნაწერი და ისეთი ნაშთი, რომელნიც დაუფასებელია ჩვენის ხალხის წარსულ ცხოვრების გასათვალისწინებლად და შესასწავლად. მწერლობაში ბევრჯელ გამოითქვა შიში იმის გამო, რომ ეს ნაციონალური განძი უხერხულ ადგილას არის მოთავსებული და ერთ რაიმე უბედურს შემთხვევას შეუძლიან სრულიად მოსპოს ყველაფერი. ამიტომ ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების გამგეობამ გადასწყვიტა დღეს, 24 ნოემბერს, საღამოთი სპეციალური სხდომა გამართოს იმ საკითხის გადასაწყვეტად, თუ სად გამონახოს საუკეთესო ბინა, სადაც ძვირფას მუზეუმს არავითარი საფრთხე არ მოელოდეს. გამგეობამ მოიწვია თავის სხდომაზე ისეთი გარეშე პირნიც, რომელნიც თავიანთის ცოდნითა და სხვამხრივაც დახმარებას გაუწევენ გამგეობას საზოგადოების ბიბლიოთეკა-მუზეუმისათვის მოხერხებულ ადგილის გამონახვაში.

◆ **დახმარება.** უმაღლესის ბრძანებით დაარსდა განსაკუთრებული კომისია, რომელმაც უნდა გამოიკვლიოს მდგომარეობა ადელხანოვის ქარხნებისა. ადელხანოვი ხაზინიდან თხოულობდა 400.000 მანეთს დახმარებას თავის ქარხნებში მუშაობის აღსადგენად. კომისიაში მონაწილეობას იღებენ წარმომადგენელნი სახელ. კონტროლისა, საინტენდანტო მმართველობისა და ტფ. ქალაქის თვითმმართველობისა.

◆ **შუამდგომლობის დაკმაყოფილება.** კავკასიის ნამესტნიკმა ამას წინად მთავრობისაგან ითხოვა 19,239 მანეთი ახალციხის მაზრის 12 სოფლისთვის, რომელნიც დაზარალდნენ სეტყვითა და მოუსავლობით. მთავრობამ დაუკმაყოფილებია ნამესტნიკის თხოვნა და გამოუგზავნია აღნიშნული თანხა, რომელიც სამის წლის ვადით მიეცემათ გლეხებს.

◆ **ილია ჭავჭავაძის ფონდის სასარგებლოდ** კავკავიდან გვწერენ: 16 ნოემბერს, ქ-ნ ს. დ. კალანდარაშვილის თავმჯდომარეობით, მოხდა ჩვეულებრივი კრება კავკავის ქალთა საზოგადოების „პარასკევი"-სა. კრებამ ერთხმად დაადგინა, თანახმად შემოტანილ წინადადებისა, თავის წლიურ შემოსავლიდან „კავკავის ქალთა საზოგადოების პარასკევი"-ს სახელით გადასდოს ყოველ წლივ ფული ილია ჭავჭავაძის ფონდის გასაძლიერებლად. ფული უნდა გაეგზავნოს „ქ. შ. წ.-კ. გამავრცელებელ საზოგადოებას".

◆ **პროკლამაცია.** ამ დღეებში ტფილისში გავრცელდა „დაშნაკცუტუნის" პარტიის პროკლამაცია, რომლითაც ოსმალეთში მომქმედი პარტია აღნიშნავს, რომ მათ მოჰკლეს ბათუმში ვანის გუბერნატორი ალი-ბეი, რადგან ის ხალხს ძალიან აწუხებდა და სომხებს სდევნიდაო.

◆ **მოლას მიერ სტრაჟნიკის მოკვლა.** 8 ნოემბერს სოფ. არეშში, თელავის მაზრაში, მოლა-იმან ალი-ოღლის თოფით მოუკლავს სტრაჟნიკი სუმბათ აბდულ-ოღლი.

◆ **სროლა.** 7 ნოემბერს, ღამე სოფ. ოთარშენში, პოლიციის ცნობებით, ვიღაცები დასცემიან თავ. გიორგი ამილახვარის სახლს და აუტეხიათ სროლა, რომელიც 10 წუთს გაგრძელებულა, სახლიდანაც სროლითვე გაუციათ პასუხი. არავინ დაშავებულა. დამცემნი მიმალულან.

◆ **ქარხნის დაწვა** 21 ნოემბერს, საღამოს 7 საათზე, ბორჯომში დამწვარა სახერხავი ქარხანა დიდ მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძისა.

◆ **გვთხოვენ დავბეჭდოთ.** „გთხოვთ გამოაქვეყნოთ შემდეგი სია იმ პირთა, რომელთაც კეთილ ინებეს და გამოგზავნეს ჩემ სახელზე ხონიდან ოთხი მანეთი ერთ გაჭირვებულ ოჯახის სასარგებლოდ: სეხ ქუთათელაძე, მიშა ქუთათელაძე, სარდ. გორთაზია, გდ. აბაშიძე, ალ. ხიმშიაშვილი, სეხ ჩიქვანი, ევტ. მებუკე—ათ-ათი შაური; ზაროფ. სანაძე—30 კ.; ვ. სადარაძე—20 კ. სულ წინანდლიანად 35 მან. 70 კ. კ. ბაქრაძე."

◆ 22 ნოემბერს დილის 9 საათზედ ტფილისის მცხოვრებმა მარიამ ბეჟანოვისამ პოლიციაში განაცხადა, რომ ღამით მის სამზარეულოში, ანჩისხატის ქუჩაზე, შეპარულან ქურდები და მოუტაცნიათ 10 ფუთის სიმძიმე თუჯის კასა, რომელშიაც ბეჟანოვისას 2000 მან. ღირებული ნივთები ჰქონია შენახული. ამ ქურდობაში ეჭვი მიიტანეს მეეზოვე დიმიტრი კოლიტაშვილსა და მსახურ ბუდღან ჭარკველოვზე, რომელნიც უკვე დააპატიმრეს.

◆ ამას წინად სრეტენსკის ქუჩაზე ვიღაც უცნობმა გაცარცვა ტფილისის მოქალაქე არშაკ ჩაბანოვი. 22 ნოემბერს ჩაბანოვი ხოსროევის ქარვასლაში შეხვედრია მცარცველს და უცვნია იგი. უცნობს ჯიბიდან რევოლვერი ამოუღია, გადაუგდია და თითონ გაქცეულა. უცნობი იმ დღესვე ბახვალის ქუჩაზე დაუპატიმრებიათ. უცნობი აღმოჩნდა ნოვობაიაზეთის მცხოვრები ერემ ნავზადიანცი.

◆ 22 ნოემბერს, ხაშმადღევის 2 საათზე, სამი შეიარაღებული კაცი თავს დაეცა პეტრე პავლეს სასაფლაოს ახლო პეტრე სურენქოვს, რომელსაც წაართვეს წვრილმანი საყაჭრო საქონელი 15 მან. ღირებული. სურენქოვმა ეს ამბავი საჩქაროდ აცნობა პატრულს. პატრული გამოუდგა მცარცველებს, დაეწია სასაფლაოს ახლო და მოსთხოვა გაქცეულებს, რომ გაჩერებულიყვნენ. უცნობნი გაიქცნენ. პატრულმა ესროლა და ერთი მათგანი დავით ბაგურაძე მოჰკლა, ხოლო მეორე—ბაგრატ აივაზოვი დააპატიმრა. მესამემ მოასწრო დამალვა. მოკლულს ბაგურაძეს აღმოაჩნდა რევოლვერი. დაპატიმრებული საკომენდანტო სამართველოში გაგზავნეს. მოტაცებული საქონელიც მიიგნო პოლიციამ და გადასცა პატრონს.

◆ გუშინ, 23 ნოემბერს, ტფილისის საუნივერსიტეტო საზოგადოების გამგეობამ შეატყობინა ტფილისის გუბერნატორს, რომ 23 ნოემბრიდან რუსულ სექციის მეთაურობით დაიწყო სისტემატიური ლექციები რუსულ ენაზე თანახმად საზოგადოების წესდების მეორე მუხლისა.

◆ 17 ნოემბერს განჩაურის მახლობლად ვაჩნაძიანის მცხოვრებს ყორაშვილს ექვსმა შეიარაღებულმა ავაზაკმა წაართვა 240 ცხვარი და სახედარი. ბოროტმოქმედნი ნაცარცვითურთ მიიმალნენ.

◆ კავკასიის სპილენძეულობის ამხანაგობის ქარხანაში გამგეს გულიევს შეუნიშნავს, რომ ქარხნიდან სისტემატიურად ვიღაცა სპილენძს იპარავდა და ასაღებდა ვაჭრებზე. ქურდობაში ეჭვი მიიტანეს ნოქარ ასატურ ჯანოევზე, რომელიც გამოტყდა კიდეც დანაშაულში. სპილენძს იძენდა თურმე დავით ხეჩატუროვი. რამდენი სპილენძი მოუპარავს ჯანოევს, ჯერ არ არის გამორკვეული.

◆ 22 ნოემბერს, საღამოს 8 საათზე, სირაჯხანაში, ირაკლის ქუჩაზე ოსიპოვებს 5 შეიარაღებული კაცი შეუვარდა. უცნობები სიკვდილით დაემუქრნენ მეღვინეებს და მოსთხოვეს ფული. ყაჩაღებმა დახლიდან 70 მანეთი გაიტაცეს და გადაიმალნენ.

## პრესსა

—:—

საკვირველი ამბები ხდება ჩვენ ცოდვილ ქვეყანაში! არა თუ საკვირველი, პირდაპირ სასწაულებრივიც!

ჩვენს მკითხველებს კარგად ეცოდინება, რას არ გვწამებენ ჩვენებური სოციალ-დემოკრატები იმისთვის, რომ ყოველ ერისთვის ეროვნულ თვითმართველობას, ავტონომიას ვთხოულობდით. რის ერი, რის ეროვნული საკითხი და ავტონომია, არსებობს კლასი, კლასის ინტერესი და კლასის ბრძოლა ამ ინტერესების დასაცველადო; ერი და ეროვნული საკითხი ბურჟუების შეთხზული და მოჩმახულია მუშა ხალხის მოსატყუებლად და ჩასათრევადო; ამიტომ ჩვენ წინააღმდეგნი ვართ ეროვნულ ავტონომიისა როგორც **ტაქტიკის** მხრივ, ისე **პრინციპის** მხრივაცო.

ბევრი ვუმტკიცეთ დოგმით შებოჭილ ჩვენ მოწინააღმდეგეთ სრული უნიადაგობა და უსაფუძვლობა ასეთ უკვან შეხედულებისა, ბევრი ვუთითეთ სხვა ქვეყნების ყველა სოციალისტურ პარტიებზე, რომელნიც სწორედ ისე უცქეროდნენ ეროვნულ საკითხს, როგორც ქართველი ფედერალისტები, მაგრამ ისინი მაინც თავისას გაიძახოდნენ. იმედი დავკარგეთ მათის მორჯულებისა. და სწორედ მაშინ მოხდა სასწაული, როცა ამას სრულიად არ მოველოდით.

თუმცა გაუბედავათ, მაგრამ მაინც საკმაოდ ცხადათ გამოჩნდა მათ მწერლობაში „ერი", „ეროვნულ-კულტურული საჭიროებანი", ამ საჭიროებათა დაკმაყოფილება შესაფერ „დაწესებულებებით" და სხვა ამ გვარები. და გუშინდელ „წყარო"-ს ნომერში ხომ პირდაპირ და გადაჭრით იმეორებენ იმას, რისთვისაც დევნიდნენ ფედერალისტებს. „წყარო"-ს მეთაური ეხება სტოლიპინის ეროვნულ პოლიტიკას და სხვათა შორის „შავით თეთრზე" სწერს: „(დაჩაგრულ ერთა) **ეროვნული და კულტურული განვითარების თავისუფლება ვერ იქნება უზრუნველყოფილი იმ დრომდე, ვიდრე ესენი არ მოიპოვებენ ამისათვის საჭირო, განსაზღვრულ იურიდიულ და პოლიტიკურ ნორმებს ეს კი უეჭველად იგულისხმებს დღევანდელ სახელმწიფოს განსაზღვრულ დეცენტრალიზაციას**".

ძალაუნებურად გვაგონდება სათათბიროს 13 ნოემბრის სხდომა, სადაც გეჩკორი ითხოვდა დეპუტატებისაგან: სიტყვა „კონსტიტუციას" ნუ ვიხმართ, მაგრამ საკონსტიტუციო წეს-წყობილება კი ვიგულისხმოთო. ჩვენი მოკამათენიც სწორედ ეგრე კეკე-მალულობენ ამ ბოლოს დროს: „ავტონომია" არ შეიძლება, მაგრამ „იურიდიული და პოლიტიკური ნორმები" კი აუცილებელია ეროვნულ და კულტურულ განვითარების უზრუნველსაყოფელადაო. ერთი გვითხარით „წყარო"-ელებო, რას ნიშნავს ეს თქვენი „იურიდიული და პოლიტიკური ნორმები", თუ არა იმავე ავტონომიას, რომლის გულისთვისაც ჯვარცმას უპირებდით ფედერალისტებს?

აქ არ შეგვიძლია არ გავიმეოროთ ის, რაც გუშინ-წინ ვსთქვით ჩვენს „პრესსა"-ში: „ცუდათ არ ჩაუვლია ქართველ ს.-დემოკრატებთან კამათის ჩვენგან თელილ ცქლიან გზას. რა ვუყოთ, რომ თავმოყვარეობა ნებას არ აძლევთ მათ პირდაპირ და ხმა მაღლა აღიარონ თავისი ცვლილება."

ავტონომიის აუცილებლობა ხომ იწამეს პრინციპიალურად „წყაროელებმა," მაგრამ ს.-დემოკრატიულ საპარლამენტო ფრაქციის ტაქტიკას მაინც ამართლებენ: არ შეიძლება ეხლა აღიძრას ეროვნული საკითხი სათათბიროში, პრაქტიკული შედეგი არ მოჰყვებაო, ჯერ ბიუროკრატიის თვითმპყრობელობა უნდა დაიმხოსო.

ერთი ეს გვითხრან ჩვენმა მოკამათეებმა, რომელი საყურადღებო საკითხია, რომ თვითმპყრობელობის დამხობამდე გადაწყდება? რასაკვირველია, არც ერთი და მაშასადამე „წყარო"-ს ლოღიკით, ვერც ერთი დეპუტატი ვერ აღძრავს ვერც ერთ ამ საყურადღებო საკითხთაგანს და უნდა უცადოს თვითმპყრობელობის დამხობას. ეს ერთი. მეორე, ნუთუ ს. დემოკრატიული დეპუტატები მარტო პრაქტიკულ საქმეების ასასრულებლად ბრძანდებიან სათათბიროში და არა იმისთვის, იქიდან ხალხს ელაპარაკონ, ხალხში გაავრცელონ თავიანთი პრინციპები? მესამე, რატომ ეს „იურიდიული და პოლიტიკური ნორმები" ეროვნულ და კულტურულ განვითარების უზრუნველსაყოფელად თქვენს პროგრამაში არ არის. მეოთხე... მაგრამ ჯერ ესეც კმარა.

## პროვინციის ცხოვრება

—:—

**ქ. დუშეთი.** 19 ნოემბერს დუშეთის საპყრობილედან ოცდაათამდის პოლიტიკური ტუსაღი გაისტუმრეს. ზოგი იგზავნება ორენბურგის გუბერნიაში, ზოგიც არხანგელსკისაში. წინა დღეს, საათის ცხრიდან საპყრობილის კარებთან გროვდებოდნენ პატიმართა ნათესავნი და ნაცნობნი. უმრავლესობა სხვა და სხვა სოფლიდან იყო მოსული თავიანთ ნათესავთა სანახავად და გამოსასალმებლად. ციხის კარებთან შეკრებილიყვნენ თვალ-ცრემლიანი და სასოწარკვეთილი დედები, მამები, ცოლები, ძმები და დები. ტირილს და გოდებას დასასრული არა ჰქონდა. ბევრს ფეხშიშველა და ტიტველა ბავშვებიც მოეყვანა.

**კალმის წვერა.**

—

**სოფ. მოქითი** (შორაპნის მაზრა). ამ წლის ივლისში ვიღაც ავაზაკებმა გაძარცვეს მარელისის სადგურზე რკინის გზის მეარტელე. ამ საქმის გამო ეჭვით შეიპყრეს, სხვათა შორის, სამი მცხოვრები სოფ. ზვარისა—შამბერაშვილები. იმათგან უფრო დიდ-ტანჯა ნიკოლოზ შამბერაშვილი, ვაჭარი და დუქნის მწარმოებელი. მისი რესტორანი დაბეჭდეს და დახურეს. პატრონი გაგზავნეს ორენბურგის გუბერნიაში სამხედრო წესების მოხსნამდის. ბოლო დროს კი გამოირკვა, თუ როგორ უსამართლოდ იქმნა დასჯილი ნიკოლოზ შამბერაშვილი. საქმე იმაშია, რომ ბაქან დაშუშული ფოსტის მატარებლის გაძარცვის გამო დაჭერილები, როგორც ამბობენ, გამოტეხილან, რომ სადგურს მარელისში მათ გაძარცვეს მეარტელე და რომ არც ერთს შამბერაშვილთაგანს იმ საქმეში არავითარი მონაწილეობა არ მიუღია. ამისდა მიუხედავად, სამაზრო გამგეობა არავითარს ზომას არ იღებს თავის შეცდომის გასასწორებლად და ნებას არ აძლევს [illegible] შამბერაშვილის რესტორანის გახსნისას. [illegible] ნებლად ის დააჯარიმა 1000 მანეთით, რის გადახდას, რასაკვირველია, ვერ შესძლებს უმწეოდ დაგდებული მისი სახლობა, ცხოვრების სახსარს მოკლებული. მ.

## წერილი ოდესიდან

უნივერსიტეტის დაკეტვა.—პროფესურა, სტუდენტობა საერთოდ და კერძოდ ქართველი სტუდენტები და უკანასკნელთა საქმიანობა.

12 ნოემბერს 12 საათზე უნივერსიტეტის ყველა შენობის კარებზე გამოკრულ იქმნა განცხადება რექტორის მოადგილის პროფ. პეტრიაშვილის ხელმოწერილი: „დღეიდან უნივერსიტეტი დროებით დაკეტილია". მიზეზი ამ გვარ განკარგულებისა შემდეგი იყო: 4 ნოემბერს რექტორის ნებართვით და სტუდენტთა ერთი ნაწილის ინიციატივით (სახელდობრ ს.-დ) მოწვეულ იქმნა სტუდენტთა საერთო კრება, რომელსაც უნდა განეხილა რამდენიმე საკითხი, როგორც მაგ., სტუდენტთა ორგანიზაციების ლეგალიზაცია და სხვა. კრებას 2000 კაცი დაესწრო. კრებაზე აღიძრა რამდენიმე ახალი საკითხი, როგორც საკითხი თავისუფალ ყურისმგდებელთა შესახებ და სხვა. ამ საკითხების მორიგ საკითხთა შორის შეტანას და მათ გამო მსჯელობის გამართვას საჭიროებას იცავდნენ ს.-რევოლიუციონერები. წინააღუდგნენ ამას კრების ინიციატორები ს.-დ—ბი. მათ განაცხადეს, თუ ს.-რევოლიუციონერების წინადადება მიღებულ იქმნება, ჩვენ კრებას თავს დავანებებთ, რაკი ეს კრება არა ლეგალურ ხასიათს მიიღებსო. კარგა ხნის კამათის შემდეგ დიდის უმეტესობით კრებამ მიიღო ს.-რევ.-ს წინადადება და ამ გვარად კრებაც არა ლეგალურ გზას დაადგა. ამის შემდეგ კრების ინიციატორებმა ადგილი დაუთმეს ს.-რევოლიუციონერებს. კრებამ რამდენსამე საათს გასტანა, მაგრამ მიუხედავად ამისა, ისე დაამთავრა მსჯელობა და ისე დაიშალა სტუდენტობა, რომ საპოლიციოდ საქმე არ გამხდარა.

მიუხედავად ამისა, ამ დღიდან დაწყებული ყოველ ღამე იწყება სტუდენტების დაპატიმრება. დააპატიმრეს ისინიც, ვინც ამ კრებას არ დასწრებია, მხოლოდ იმიტომ, რომ პირველ კანონიერ კრებაზე ხმა ამოიღეს. ამ გვარმა მოქმედებამ, რასაკვირველია, სტუდენტების პროტესტი გამოიწვია. ერთი ნაწილი, ს.-რ. მეთაურობით, აპირებდა ორშაბათისთვის არალეგალურ კრების გამართვას; უნდა მოეთხოვა ამხანაგების განთავისუფლება. მეორე ნაწილმა—ს.-დ—ბმა გამოუშვეს მოწოდება: ამხანაგებს მოუწოდებდნენ სამის დღით უნივერსიტეტის დაკეტვისათვის. ყველა ეს თავის დროზე შეიტყო რექტორმა და ეს იყო მიზეზი, რომ უნივერსიტეტი თავის ძალით დაკეტილად გამოაცხადა, რათა თავიდან აეშორებინა მომავალი უსიამოვნება. ამავე დღეს მოწვეულ იქმნა კრება პროფესორთა საბჭოსი, რომელმაც საერთოდ რექტორის განკარგულება მოიწონა, მაგრამ გადასწყვიტა უნივერსიტეტი მესამე დღესვე გაეღო.

ამ საბჭოს კრებას წარუდგინა „რუსთა კავშირის" სტუდენტების ორგანიზაციის განცხადება, რომელშიაც პატრიოტი სტუდენტები რაცხავდნენ რექტორის მოქმედებას სუსტად და მოითხოვდნენ საბჭოსაგან მხნე ზომების მიღებას რევოლიუციონურ სტუდენტთა წინააღმდეგ, რომ ამ გვარად საშუალება მოგვეცეს მეცადინეობისაო. ამ შინაარსისავე მოწოდებები გაუგზავნიათ ამ ბეჯით ყმაწვილებს გენ.-გუბერნატორისა და მინისტრისათვის.

აი, სწორედ ეს ვაჟბატონები უნდა ბრძანდებოდნენ მიზეზნი საუკეთესო სტუდენტობის დაპატიმრებისა. ამ „ჭეშმარიტ რუს სტუდენტებს" თავიანთი მასწავლებლებიცა ჰყავთ—მემარჯვენე პროფესორები. თუმცა უნივერსიტეტის საერთო საქმეებში ვერასა ხდებიან (პროფესორთა საბჭოში მათი რიცხვი უდრის 24, მემარცხენეთა კი—38), მაგრამ სამაგიეროდ, ზოგიერთ ფაკულტეტებზედ ეს მემარჯვენე „მეცნიერები" სჭარბობენ და იქ ისინი არას ზოგავენ ჯავრის საყრელად: საექიმო ფაკულტეტი და იურიდიული ამ მხრივ დიდ გაჭირვებას განიცდიან: პირველზედ იქამდის მივიდა საქმე, რომ ეგზამენების დროს ერთმა სტუდენტმა საწყალმა ეს-

---

დნენ თოფის კონდახებით, სანამ ტუსაღები გონებას სრულიად არა ჰკარგავდნენ. ყველაზე ძრიელ ნაცემი იყო: ვოლოშენკო, როდიონოვი, კობილინსკი, ბედუხოვი და ორლოვი. მეტად მიგვაჩნია დაწვრილებით აღწერა ამ საშინელ ძალმომრეობისა. საკმარისია იმ ფაქტის აღნიშვნა, რომ 11 მაისის დილას ტუსაღებს ყველაფერი წაართვეს, რაც მათ საკუთრებას შეადგენდა: ფეხსაცმელი, საცვალი, ფული და სხვა.

ტუსაღები სამ ნაწილად გაჰყვეს და ფეხით გაირეკეს „დამამშვიდებელ სახლებისაკენ", „არესტანტთა როტაში"—უსტ-კარასა და ესრედ წოდებულ ზიმოუბანში. ტუსაღთა ერთმა ნაწილმა, რომელიც უსტ-კარისკენ გაემართა, სთხოვა ყაზახებს შესვენების ნება, რადგან მათ მთელი დღე არაფერი ეჭამათ და ოთხმეტი ვერსი კი გასავლელი ჰქონდათ. ყაზახებმა (რიცხვით 50—100) არ შეიწყნარეს ეს თხოვნა და, როგორც ნაბრძანები ჰქონდათ ილიაშევიჩისაგან (არ დაიზოგონ გზაში იგინი არაფრით), თოფის კონდახებით წინ ერეკებოდნენ... მაშინ იმ ტუსაღებმა, რომელთაც ხელები შებორკილი არა ჰქონდათ, ქვები დაუშინეს ყაზახებს. ასტყდა საშინელი, უთანასწორო ბრძოლა. ამ დროს ყაზახებმა ბევრს სცემეს, ვინც მეტი წინააღმდეგობა გაუწია, იგინი დაასისხლიანეს და თავისუფლებს ხელ-ფეხი შეუბორკეს... ნაცემებმა, დაქანცულებმა და მშიერებმა მხოლოდ საღამო ხანს მიაღწიეს უსტ-კარს. გაჩხრეკის შემდეგ ორ-ორი ჩაამწყვდიეს „საიდუმლო კამერა"-ში***). საცოდავები მეტად დალეულნი იატაკზედ დაეყარნენ, დამშვიდებულნი ცოტად, რომ აღარ განიცდიან უკვე განვლილს საშინელს ამბავს. სხვა ტუსაღებმა კი მშვიდობიანად მიაღწიეს სატუსაღომდის.

აი, ასე და ამრიგად გალკინ-ვრასკიმ და ილიაშევიჩმა მისპეს ეს მაინც ამბოხება, რომელიც შეიძლებოდა კვლავ განმეორებულიყო. თუ ვინიცობაა ტუსაღები გაიღვიძებდნენ, მისცეს „გაკვეთილი მოთავეებს" და დაუმტკიცეს მინისტრს, თუ რა ადვილად შეუძლიანთ მის ხელქვეითებს ჩააქრონ ამბოხება მძინარე ტუსაღებისა. საპყრობილეში სრული „სიმშვიდე" იყო აღდგენილი. იგი ჰგავდა იმ სიმშვიდეს, რომელიც ერთს დროს ვარშავაში სუფევდა.

ასე განვლო ორმა თვემ. პოლიტიკურ დამნაშავეთ ეს დრო გაატარეს სრულს მარტოობაში: ერთმანეთისა არა იცოდნენ რა. მოშხამულმა ჰაერმა, საძაგელმა ჭამა სმამ მალე ნაყოფი გამოიღო და ტუსაღების ჯანმრთელობა შეარყია. „საიდუმლო კამერებში" საშინელი გადამდები სენი დატრიალდა (სკორბუტი), რომელმაც ტუსაღი ტიხინოვი იმსხვერპლა. მრავალი მათგანი ისე დასუსტდა, რომ ამოკითხვის დროს ფეხზედ ვერც კი დგებოდა. მიუხედავად იმისა, რომ სატუსაღოს მთავრობას ტუსაღებისაგან წართმეული ფული ჰქონდა, მაინც ამ ფულიდან ნებას არ აძლევდნენ შეეძინათ ლოგინისათვის თეთრეული და ცოტად მაინც ხეირიანი საჭმელი.

**ალ. ხიდაშელი**

---

***) „საიდუმლო კამერა" ციმბირის საპყრობილეში დანიშნულია დიდ დამნაშავეთათვის, თითო-თითოს ამწყვდევენ შიგ. ცარიელი ნოტიო ადგილია, სადაც უბრალო ტახტიც კი არა სდგას, გარდა ერთის ვარცლისა, რომელშიაც ასხავენ ყოველ სიბინძურეს, განავალს. ტუსაღები პირ და პირ იატაკზედ წვებიან.

როლი ეგზამენატორებს პროფესორ შატუევს და კიშინკის; იურიდიული ფაკულტეტი ხომ ღმერთმა შეინახოს! აქ მთელი ომია გამართული; აქ მეცნიერნი იქამდისაც კი მივიდნენ, რომ თავიანთ პირშო სტუდენტებს გადააჭარბეს ჯაშუშობაში. ამათ წყალობით დეკანი იურიდ. ფაკულტეტზე პროფ-ი კოსინსკი სამართალში მისცეს. კოსინსკი ცნობილია, როგორც მედგარი მებრძოლი ამ ფაკულტეტზედ წინააღმდეგ 7 მემარჯვენე პროფესორისა. ამ ბრძოლაში ჩვენს სტუდენტობას ის საქმე ემართება, რაც დაემართა კოზაკს, ორ მოჩხუბარ აქლემს შუა რომ მოჰყვა.

მიუხედავად სტუდენტთა დიდის სურვილისა და მეცადინეობის მხურვალედ ხელის მოკიდებისა, ზემოდ აღწერილ და აგრეთვე სხვა მიზეზებისა გამო, რომელთა აღწერას აქ არ შევუდგები, ყოველივე ცდა უნაყოფოა. მაგალითად, დაარსებულ იქნა აუარებელი სტუდენტთა სამეცნიერო წრე, სტუდენტობა დიდის გულ მოდგინებით შეუდგა მეცადინეობას, მაგრამ ამ ამბების გამო ყველაფერი შესწყდა, შესწყდა ის კვლევა-ძიება, რომელსაც სტუდენტობა გულ მოდგინედ შეუდგა წლის დასაწყისში. ყველა ამისი მიზეზი კი თავდაპირველად გამარჯვებით დამთვრალ ელემენტებისა ჩვენს უნივერსიტეტში, რომელნიც მოკლებულნი არიან ყოველსავე საღ მსჯელობას და რომელნიც ეს ვითომდა მებრძოლნი მშვიდობიანობის დასამყარებლად ხდებიან უმთავრეს მიზეზად რევოლიუციონურ მოქმედებისა.

ჩვენის სტუდენტობის პროგრესიულ ნაწილის ცხოვრებაში ქართველი სტუდენტობა თვალ-საჩინო როლს თამაშობს. ამისთვის ძალიც შესწევთ: ქართველობა 200 კაცია და თავის აზრების გამომხატველებიცა ჰყავს. დღემდის ქართველი სტუდენტები მოქმედებდნენ როგორც წევრნი სხვა და სხვა პოლიტიკურ პარტიისა; დღეს კი ამათ ცხოვრებაშიაც ცვლილება მოხდა. მთლად ქართველმა სტუდენტობამ, მიუხედავად მიმართულებისა, შეჰქმნა ეროვნული წრე. წევრები, იმის გარდა, რომ ურთი-ერთს დაეხმარებიან მატერიალურად, შეუდგებიან გონებრივ მუშაობასაც. ყურადღებაა მიქცეული სამშობლო ლიტერატურის და ისტორიის შესწავლაზედ; ეს მით უფრო საინტერესოა, რომ აქ ამ წრეში შეძლება ექნებათ წევრებს გაითვალისწინონ საკითხი სხვა და სხვა მხრიდან სხვა და სხვა პარტიულ შეხედულებით. სამწუხაროდ, ამ მიზნის შესასრულებლად გარემოება არ გვიწყობს ხელს; უმთავრესად კი სამშობლო ლიტერატურის და ისტორიის შესასწავლად არა გვაქვს მასალა, თუმცა ჩვენ სამკითხველოში მოიპოვება ორიოდი წიგნი, მაგრამ იგი ვერავის დააკმაყოფილებს. ამ მხრივ კი სამსახურს გაგვიწევს საღამოს გამართვა, რაც უკვე გადაწყვეტილია, თუ ნებართვა ავიღეთ როგორმე. ნაწილი შემოსავლისა შეიძლება ამგვარ წიგნების ყიდვას მოხმარდეს, სხვა საშუალება კი არსაიდან სჩანს.

**მოსკოველი.**

## ქუთაისის საკვირაო სკოლა

ამ თხუთმეტის წლის წინად ქუთაისში, რამდენიმე ახალგაზდა ქალის თაოსნობით, დაარსდა საკვირაო სკოლა. სკოლას მაშინ დიდძალი ხალხი მიაწყდა, უღარიბეს მოქალაქეთა შვილები, როგორც ვაჟები, ისე ქალები, 11 წლიდან დაწყებული,ვიდრე 25 წლამდის. მალე მასწავლებელთა რიცხვმაც იმატა და ბოლოს ყველა ის ახალგაზდა, სწავლით აღჭურვილი, რომელსაც სწყუროდა დახმარება გაეწია ბედისაგან დაჩაგრულ მოძმეთათვის, თავისს წმინდა მოვალეობად სთვლიდა საკვირაო სკოლისთვის დახმარება გაეწია სხვა და სხვა სახით: თუ სწავლებით, თუ საღამოების გამართვით ამა სკოლის სასარგებლოდ, თუ პროგრამის შედგენით, ლექციების კითხვით და სხვა.

ბევრი ვაი-ვაგლახი გამოვცადეთ საკუთარ ბინის უქონლობისა გამო. ყოველ წელს, სწავლის დაწყებისას, ხან ერთ სასწავლებელს მივადგებოდით ხოლმე, ხან მეორეს და დიდის წვალებით ვშოულობდით ბინას. ბოლოს, როგორც იქნა, ამ წორილსაც ეშველა: ქალაქის გამგეობამ, რომელიც აქამდის დახმარებას უწევდა სკოლას ფულით, დაგვითმო ორი სკოლის სადგომი. თუმცა ფულსაც ყოველ წლივ გვპირდება და ხარჯთ-აღრიცხვაშიაც შეაქვს, მაგრამ ფულის მიღება ძალიან ჭირდება, კასსის სიცარიელისა გამო.

ქუთაისის საზოგადოება დიდის თანაგრძნობით ეპყრობოდა ამ სკოლას, რაც იქიდანა სჩანდა, რომ სკოლის სასარგებლოდ გამართულ საღამოებს ყოველთვის ესწრებოდა და მით თავისი წვლილი შეჰქონდა. ამ ფულით სკოლის გამგეობა ყიდულობდა სახელმძღვანელოებს და სასწავლო ნივთებს უფასოდ დასარიგებლად ბავშვებისათვის. გარდა ამისა საშობაოდ და სააღდგომოდ უღარიბეს ბავშვებს ურიგებდა ტანისამოსს და ფეხსაცმელს; იძენდა სკოლისათვის საჭირო ნივთებს; ამდიდრებდა წიგნთ-საცავს, ისტუმრებდა სკოლის მოსამსახურეთა ჯამაგირს და სხვა. ამ მდგომარეობამდის იყო სკოლა აქამდის. მან დაარსების დღიდან რამდენსამე ათას ბავშვს შესძინა ცოდნა.

სამწუხაროდ, დღეს სკოლა უნუგეშო მდგომარეობაშია. სკოლის გამგე ქ-ნი მარიამ ვარდოსანიძე (ერთი დამაარსებელთაგანი), რომელსაც დიახაც დიდი ამაგი მიუძღვის სკოლის არსებობაში, ეხლა საშუალო სასწავლებლის უფროსად არის (ქუთ. საეპარქიო სასწავლებელი) და, ცხადია, დიდი სურვილიც რომ ჰქონდეს, დრო არ მოეპოვება ამ სკოლის უპატრონოს. ამისათვის რამდენიმე მასწავლებელმა შეადგინა გამგეობა და გადასწყვიტა გაუწიოს სკოლას ხელმძღვანელობა. ენკენისთვეში გამოვაცხადეთ თუ არა, სწავლა დაიწყოთ, სკოლას აუარებელი ბავშვი მოაწყდა, მაგრამ, საუბედუროდ, ზოგიერთი მასწავლებელი არ მობრძანდა (თუმცა დაგვპირდნენ დახმარებას). დიდ დანაშაულობად უნდა ჩაეთვალოთ ქუთათურ მასწავლებელთ (რომელთაც გარემოება ხელს უწყობს), რომ ერთ საკვირაო სკოლას ვერ მოუარონ და კვირაში ერთი საათი ვერ შესწირონ ასეთს სიმპატიურ საქმეს.

ათს წელიწადზე მეტია, რაც ამ სკოლის მდგომარეობას თვალ-ყურს ვადევნებ, მაგრამ ეს სკოლა ასეთ გაჭირვებაში არ ყოფილა, თუ, რასაკვირველია, მხედველობაში არ მივიღებთ უკანასკნელ ორ წელიწადს, როდესაც სხვა სასწავლებლებშიაც არა ყოფილა სისტემატიური სწავლა. ახალმა გამგეობამ, მიიღო რა სახეში ეს გარემოება, განიზრახა საღამოს გამართვა, რომლის შემოსავლითაც უნდა რიგიანად მოაწყოს სკოლა და გააჩაღოს მეცადინეობა. დარწმუნებულნი ვართ, რომ ქუთაისის საზოგადოება ჩვეულებისაებრ ბლომად დაესწრება ამ საღამოს, რომელიც დანიშნულია კვირას, 25 ნოემბერს ქუთაისის საკრებულო დარბაზში და მით საშუალებას მისცემს სკოლას ნორმალურ კალაპოტში ჩადგეს და განაგრძოს სიმპატიური მოქმედება.

საკვ. სკ. მასწავლებელი **რაჟდენ განდელაკი.**

## რუსეთი

—:—

**სოც. დემ. ფრაქციის საქმე.** 22 ნოემბერს სენატში დაიწყო მეორე სათათბიროს სოც.-დემ. ფრაქციის საქმის გარჩევა. სამართალში მიცემულია 55 კაცი. საქმე ირჩევა ხალხის დაუსწრებლად. ამის გამო ბრალდებულნი და მათი ვექილნი დარბაზიდან გავიდნენ. საქმე ირჩევა ბრალდებულთა დაუსწრებლად. იმავე დღეს დილით პეტერბურგსა და მოსკოვში დაიწყო გაფიცვა. პეტერბურგში გაფიცულა 70,000 მუშა, მოსკოვში—35 ქარხანა და ფაბრიკა. პეტერბურგში ამ დღეს უმაღლეს სასწავლებლებში სწავლა არ ყოფილა.

**სტუდენტების დაპატიმრება** კიევში ამას წინად დააპატიმრეს 447 სტუდენტი. ასზე მეტი უკვე გამოუშვიათ. დაპატიმრებულთაგან ნახევარზე მეტი არა-რუსნი ყოფილან.

**სასამართლო.** მოსკოვის სამხედრო სასამართლომ გაარჩია საქმე მოსკოვის სამხედრო ორგანიზაციისა. შვიდ კაცს მიუსაჯეს 9 წლით კატორგა, სამი გაამართლეს.

იმავე სასამართლომ გაარჩია საქმე გლეხთა კავშირის წევრებისა. ორი გაამართლეს, ხუთს გადაუწყვიტეს კატორგა 9 წლამდე, ერთს—გადასახლება, ორი ბრალდებული მიმალულა.

## თეატრი და ხელოვნება

—:—

**ოპერა.** განსაკუთრებულის ღვთიურის მადლით ცხებული უნდა იყოს ადამიანი, რომ ასი, ორასი, ათასი მსმენელი, სხვა და სხვა სმენის და ალღოს მქონებელი, ერთად შეჰკრას, თანაბრად აღძრას და ერთის გრძნობით განმსჭვალოს. სწორედ ამ გვარის ნიჭით დაჯილდოვებულია ქ-ნი ოლიმპია ბარონატ, რომელიც გუშინწინ ტფილისის სახაზინო თეატრის სცენაზედ პირველად გამოვიდა ვერდის ოპერა «ტრავიატა»-ში.

კნინმანჭურული (კოლორატურა) სიმღერა ძველი სკოლის ნაყოფია. იგი ჰსაჭიროებს ხმის განსაკუთრებულ მოქნილებას და ისეც უმწვერვალესს ფარდებში. საზოგადოდ შენიშნულია, რომ კნინმანჭურმი გაწრთვნილი ხმა ჰკარგავს მგზნებარეობას, სიტკბოებას და გრძნობის ამმღელ ძალას. ასეთი სიმღერა ადამიანის ემოციას იშვიათად თუ აღძრავს ხოლმე და მხოლოდ განცვიფრებაში მოგიყვანს, რადგანაც თვალუწვდენელ სიმაღლეზე თავბრუ დამსხმელ რაკრაკს და გრიზილივან აჟღაჟღს აჩენს.

ქ-ნ ოლიმპია ბარონატს ყველა ეს სასიმღერო ფოკუსების უნარი უხვად მოებოვება. მაგრამ ამასთანავე მას ძლევამოსილება ის, რაც სხვა გამოჩენილ მომღერალ ქალთ არ აბადიათ. ყოველნაირ ჰანგი, კოლორატურულია იგი თუ სხვა გვარი,—ლირიკული, დრამატიული,—ქ-ნ ბარონატს მუდამ თან ახლავს გრძნობათა მეტყველება, რომელიც მსმენელს გულის სიღრმემდის სწვდება და სიამით ჟრუანტელს ჰგვრის მთელს სხეულში.

ყველა ეს თვისება თვალნათლივად გამოაჩინა მან ვიოლეტას პარტიაში, რომლის ტანჯვა-ვაებანი თუ სილაღე, სინარნარე ერთმანეთს სცვლიდა საზოგადოების თვალთა წინაშე.

ამას გარდა, ქ-ნი ბარონატ მშვენივრად გადმოგვცემს ვიოლეტას პიროვნებას დრამატიულის მხრითაც—სახის მესაფერის მიმიკით და სხვაგვარის მოძრაობით.

ერთის სიტყვით, დამსწრე საზოგადოება უზომო სიტკბოებით იყო გამსჭვალული და აღტაცებით ეგებებოდა დიადის ნიჭის მქონე არტისტ ქალს.

სხვა მომღერალთა შესახებ არაფერს ვიტყვით, რადგანაც ისინი ისე მკრთალნი იყვნენ, როგორადაც სცენაზედ ხელოვნების საშუალებით მოწყობილი ძნათობი ნამდვილ მზესთან შედარებით.

წარმოდგენას დიდძალი საზოგადოება დაესწრო. **ი.**

—

**ქუთაისი.** 21 ნოემბერს ქალაქის თეატრში „ქართული დრამის" მიერ ხელმეორედ იქმნა წარმოდგენილი ჰეერმანის ოთხმოქმედებიანი დრამა „იმედის დაღუპვა". მსახიობთა შორის როლები იმგვარადვე იყო განაწილებული, როგორც წინად. მსახიობნი ამ ჟამად უფრო მეგნებულად თამაშობდნენ, ვიდრე პირველად, მაგრამ როლები ამ ჟამად უფრო ცუდად იცოდნენ, ვიდრე პირველად. ამის მიზეზი უთუოდ ის იყო, რომ მსახიობებმა საჭიროდ აღარა სცნეს პიესის წაკითხვა,—ხელმეორედ ვადგენთ და მოუმზადებლადაც კარგად შევასრულებთ როლებსაო. სუფლიორი იძულებული იყო, ხმა მაღლა ეკითხა მსახიობებისთვის, რაც შთაბეჭდილებას ხელს უშლიდა, მით უმეტეს, რომ ყოველ ნაბიჯზედ ისმოდა შენიშვნა ქანდრიდან: «суфлеръ, тише»-ო. ნაკლოვანებად უნდა ჩაეთვალოთ მსახიობთ ისიც, რომ ხანდისხან ერთის სათქმელ სიტყვებს მეორეც იმეორებდა, ერთის სახელის ნაცვლად მეორეს ხმარობდნენ და სხ. წინანდელ თამაშთან შედარებით დიდი წარჩინება ეტყობოდა ქ-ნ ურბნელს მარტიეს როლში, განსაკუთრებით მეოთხე მოქმედებაში ქ-ნი კულაშელი ტყუილად გარშ ყება მელპომენას: თავის მიხვრა-მოხვრით და ხმით ის შორს ვერ წავა. წარმოდგენის გარეგანი მხარეც წინანდელთან შედარებით უკეთ იყო მოწყობილი: წვიმა ქარიშხალი, მეხი—ნამდვილი, ბუნების მოვლენა გეგონებოდათ და ისედაც ცივს თეატრს თითქმის კიდევ უფრო აციებდა. მხოლოდ საცოდავი მამალი ბევრი აწვალეს ხელში და აჭყივლეს; ასე გეგონებოდათ, კისერში დანას უგრიანო.

დასასრულ წარმოადგინეს ნ. ბერიძის ერთმოქმედებიანი ვოდევილი „გამოცნება" რომელმაც ბევრი აცინა საზოგადოება. ვოდევილი მოხდენილადაა დაწერილი, მხოლოდ ალაგ-ალაგ გადამლაშებულია უწმაწური სიტყვებით. ჩინებული იყო ბ-ნი ბალანჩივაძე (კოტე) და ჯავახიშვილი (მარო). წარმოდგენას საზოგადოება საკმაოდ დაესწრო. **დონ-ბაზილიო.**

## საჭირო განმარტება

—

მკითხველ საზოგადოებას, უეჭველია, არ დარჩებოდა შეუმჩნეველი ის უეცარი და მოულოდნელი განკარგულება ქუთაისის საგუბერნიო ექიმისა აფთიაქში მომუშავე იმ მოწაფეებისადმი, რომელთაც სამი წელი დაჰყვეს სამსახურში. ამ გარემოებამ გამოიწვია პოლემიკა (იხილე «ისარი» № 223: ქუთაისის ქალაქის სხდომის ანგარიში). მას მოჰყვა პასუხი (იხილე «ჩვენი გზა» № 37: „ისრის" ქუთათურ კორესპონდენტს • «უდანაშაულოდ შეურაცხყოფილ ფარმაცევტებისა») და ბოლოს დაიბეჭდა პასუხის პასუხიც (იხილე «ისარი» № 239: «უდანაშაულოდ შეურაცხყოფილ ფარმაცევტებს»—კორესპონდენტისა). თუმცა არსებულ პოლიტიკურ პირობების გამო, ამ ხანამდის ხმა არ ამოუღია ქუთაისის ფარმაცევტთა კორპორაციას და ეხლაც ძალა-უნებურად უნდა შემოვლოს ფარგალი სინამდვილის გამოამჟღავნებისა ზემოდ მოყვანილ მიზეზებისა გამო, მაგრამ საზოგადოებამ რომ სულ სხვა არა სასურველი დასკვნა არ გამოიტანოს ზემოდ დასახელებულ ცნობებიდან, საჭიროდ ვსცნობთ განაცხადოს, რომ «ჩვენი გზის» მე-37 ნომერში მოთავსებული წერილი არ ეთანხმება სიმართლეს და შედგენილი და დაბეჭდილი იყო ქუთაისის ფარმაცევტთა კორპორაციის დაუკითხავად, რასაც ჩვენ მხარს არ ვუჭერთ. მოვიწვიეთ საერთო კრება ამ საკითხის გასარჩევად, გამოცხადდა ყველა, გარდა სამის კაცისა დამის დარაჯებისა აფთიაქში. პირველ ყოვლისა კორპორაციამ ერთხმად მოსთხოვა პასუხი იმ ფარმაცევტებს, რომელთაც დამოკიდებულება ჰქონდათ აფთიაქში პრაქტიკა გათავებულ მოწაფეების მიერ ადგილის გადაცემასთან, და მათ განაცხადეს შემდეგი:

აფთიაქში მომუშავე პრაქტიკა გათავებულთ მიეცათ წინადადება ათის დღის განმავლობაში განთავისუფლებინათ ადგილები და ახლებისათვის დაეთმოთ. მოწაფეებმა ჩასთვალეს თავიანთი თავი მატერიალურის მხრით დასჯილად და, როგორც ფარმაცევტთა კოლლეგიამ შეიტყო, მათ ახლად შესულელ მოწაფეებთან გამართეს გარიგება ადგილების თითქო დათმობისთვის. ვისაც ჯერ იყო და ჰქონდა მისდობილი ფარმაცევტთა ინტერესების დარაჯად ყოფნა, მიუთვალა აფთიაქში მომუშავე ფარმაცევტებს: „რადგანაც მთელი კრების მოხდენა შეუძლებელია, ორ-ორი კაცი გამოგზავნეთ თითო აფთიაქიდან ამ საგანზე მოსალაპარაკებლადაო". ზოგ აფთიაქიდან გამოცხადდა ერთი, ზოგიდან ორი, მაგრამ მათ არავითარი დავალებული წინასწარი შემუშავებული რეზოლიუცია არ წარუდგენიათ; როგორც გამოირკვა, ამ საგანზე თვით აფთიაქებში მსჯელობა არა ჰქონიათ. შეიკრიბნენ ამორჩეულნი, გაიცნეს საქმის მდგომარეობა და შეიტყვეს, რომ პრაქტიკა გათავებულ მოწაფეებს უკვე ნება ყოფილობით ახლად შემსვლელთაგან, ფარმაცევტთა კორპორაციის დაუკითხავად, თითქმის საქმე გაეთავებიათ. ახლად მოსული მოწაფეები ჰპირდებოდნენ თავიანთ ყოფილ მოადგილეებს ყოველ თვიურ დახმარებას ჯამაგირიდან. ამორჩეულთ ძლიერ ეუცხოვათ ამნაირი მოქმედება და ეცადნენ დაერწმუნებიათ მოწაფეები, რომ ესეთი საქციელი და მოქმედება არ შეჰფერის ფარმაცევტთა კორპორაციის წევს. არწმუნებდნენ, რომ მათში სულ დიდი ორი ან სამი პირი საჭიროებს დახმარებას და ამას კიდევ სხვა გზით გავაკეთებთ და არა ამნაირი მოქმედებითაო. მოწაფეები იწმუნებოდნენ: ტყუილია ის ხმა, ვითომ ჩვენ ადგილებს ვყიდდეთ ერთმანეთ-შორის, ჩვენ ვღებულობთ ფულის ნაწილს ეხლა და დანარჩენს ყოველ თვიურად, სანამ ეგზამენებზე ვიქნებით რუსეთში იმ პირობით, რომ ვალდებულნი ვართ ეგზამენების დაჭერის შემდეგ დაუბრუნოთ სესხად აღებული ფული, ეხლა კი ხელს გვიმართავენ ასეთ კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფთ ზნეობრივად ახლად შესული მოწაფეებიო. სამწუხაროდ არჩეულთა რჩევამ უნაყოფოდ ჩაიარა და რადგან მოწაფეები დაჟინებით იმეორებდნენ ერთსა და იმავეს, ამორჩეულებმა უთხრეს, რადგან თქვენ სესხად იღებთ, სხვა სახსარი და გზა არა გაქვთ და შემდეგში უნდა დაუბრუნოთ, ნუ მოსთხოვთ იმდენს, რომ გაგიძნელდეთ როგორც თქვენ შემდეგში გადახდა, ისე ახლებს მოვნაო. ამორჩეულნი მიენდნენ მათ ზნეობრივ კეთილ სინდისიერებას და ფიქრობდნენ, ვისაც კი ცოტა სახსარი მოეპოვებოდა და პირობებიც ხელს უწყობდა, ფულს არ აიღებდა სესხად. ამ გადაწყვეტილების შემდეგ გაიგეს თუ არა მოსამსახურე ფარმაცევტებმა, დიდ პროტესტს აცხადებდნენ ასეთის საკითხის გადაწყვეტისათვის. დღეს შესდგა მთელი კრება და თქვენი რიგია რა მსჯავრსაც დასდებთ ამ მოქმედებას".

ქუთაისის ფარმაცევტთა კორპორაციის კრებამ მოისმინა ზემოდ მოყვანილი განცხადება არჩეულებისა და მიიღო რა მხედველობაში: რომ

1) რწმუნებულთა კრება არ იყო დემოკრატიულად არჩეული;

2) რწმუნებულთა კრებას უფლება არა ჰქონდა ისეთი რთული საკითხი, როგორიცაა ადგილების გადაცემა ფულის საშუალებით, გადაეწყვიტა, თუ აფთიაქებში წინასწარ კრებები არ მოეხდინა და ფარმაცევტთა კორპორაციის ყველა წევრების აზრს არ გაეგებდა;

3) რწმუნებულთა კრების გადაწყვეტილება ძირიანად ეწინააღმდეგება ჩვენ შეხედულებებს;

4) თვით გადაწყვეტილება, როგორც მოხსენებიდან გამოირკვა, გამოტანილ იქნა ზნეობრივი მალდატანებით წასასვლელ ფარმაცევტების მხრივ,—

ერთმხრივ დაადგინა: საყვედური გამოეცხადოს რწმუნებულთა კრებას, სასტიკი გაკიცხვა დათხოვნილ მოწაფეებს სამარცხვინო საშუალებით ადგილების გადაცემისათვის, და საყოველთაოდ აცხადებს, რომ ქუთაისის ფარმაცევტთა კორპორაციას არავითარი წილი არ უძევს მოწაფეების სამარცხვინო მოქმედების დადასტურებაში.

**ქუთაისის ფარმაცევტთა კორპორაცია.**

P S ვთხოვთ სხვა გაზეთებსაც გადაბეჭდონ ეს განმარტება.

რედაქტორ-გამომცემელი
**ე. მგალიშვილი.**


## განცხადებანი

მეხუთე უბნის (უჩასტკის)
მოვაჭრეთა საყურადღებოდ.

მეხუთე უბნის კომიტეტის კრებამ დაადგინა: რადგან წვრილ-ვაჭართა პროფესიულ საზოგადოებაში წევრთა ჩაწერისათვის უნდა იზრუნონ კომიტეტის ყველა წევრებმა, ამისთვის მეხუთე უბანი იყოფება ორ ნაწილად: მანთაშევის ქარვასლის ქვევით წევრების მისაღებად იმოქმედებენ მიშა იაგორის ძე დავლაშერიძე, ვანო გიორგის ძე შენგელია, არშაკ გეურქას ძე მამულოვი და მიხაილ ივანეს ძე ფირზადოვი; მანთაშევის ქარვასლის ზემოდ იმოქმედებენ წევრების მისაღებად დავით ივანეს ძე გუდაძე, კოტე თადეოზის ძე ფიცხელაური და თომა ანდრიას ძე ჯიქია.

როცა საჭირო იქნება, დაიხმარებენ კანდიდატებს.

**მეხუთე უბნის კომიტეტი წვრილ-ვაჭართა პროფესიულ საზოგადოებისა.** (3—445—1)

პირველი კერძო სამკურნალო
# დოქ. ნავასარდიანისა
დაარსებულია 1880 წ.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).
ყოველ დღე, კვირეებს გარდა.

**დილით:**

**ბ. ა. ნავასარდიანი;** 11—12 ს. ქირურგ. ვენერიული (სიფილისი) და საშარდე.

**ე. მ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალისა, შინაგან და ნერვებისა.

**ფ. ი. ზაზანაშვილი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვების.

**მ. გ. ბეგლარიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ. და ქირურგ.

**ა. მ. ბუგინოვი:** 12—1 ს. შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

**გ. ი. გელოვანი:** 1—2 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**ა. ი. კარაპეტიანცი:** 1—1½ ს. შინაგანი და საბავშვო.

**ა. ი. ზურაბიანი:** 1½—2 საათამ. საბებიო და ქალებისა.

**გ. ი. გურგენოვი:** 1—2 საათ. ქალებისა და საბებიო.

**საღამოთი:**

**ა. ი. გრიგორიანი:** 6—7 ქირურ., ვენერ., შარდ. და კანისა.

რჩევა 50 კ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი

მედიც. დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.** (ხალ.—166)

✦ МАГАЗИНЪ ✦
„КОМПОЗИЦІЯ"
Тифлисъ, Пущкинскій пассажъ, № 8.



Громадная экономія шведскаго композиціон. бѣлья.
✦ Носится не менѣе двухъ лѣтъ. ✦
Постоянный большой выборъ Свѣжаго товара ВОРОТНИКОВЪ, МАНИШЕКЪ и МАНЖЕТЪ.
Единственный представитель для Баку, Тифлиса и ихъ окрестностей.
ПО ФАБРИЧН. ЦѢНАМЪ
Передѣлка въ любой фасонъ безплатно.

**Просятъ не смѣшивать появившіеся въ продажѣ бѣлья изъ поддѣльной композиціи.**

Отдѣленіе въ Баку, Кривая ул. противъ фотог. Зелинскаго. (15—2)


სტამბა „იდეალი" (მ. დ. კიკნაძისა) ნიკოლოზის ქ. № 6.